განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

# ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

**ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი**

**ზუგდიდის მუნიციპალიტეტის, ქ. ზუგდიდის N1 საბავშვო ბაღი**

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ხარისხის ექსპერტი: *ლანა ჯიქია*

წევრები:

კურიკულუმის ექსპერტი: *ნინო მამრიკიშვილი*

კვების დარგში ექსპერტი: *სალომე ბოჭორიშვილი*

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი: *მარინე გულუა*

## ნაწილი I. ზოგადი ინფორმაცია

| 1. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ | |
|---|---|
| სამართლებრივი ფორმა | ა(ა)იპ - არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი |
| საფირმო სახელწოდება | ა(ა)იპ "ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი" |
| საიდენტიფიკაციო ნომერი | 420427023 |
| პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება *(არსებობის შემთხვევაში)* | ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, ქ. ზუგდიდის №1 საბავშვო ბაღი |
| სახელწოდება ინგლისურ ენაზე *(არსებობის შემთხვევაში)* | |
| სექტორი | საჯარო |
| ინფორმაცია მოთხოვნილი სტატუსის შესახებ | სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულება |

| 2. საკონტაქტო ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ | |
|---|---|
| იურიდიული მისამართი *(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)* | ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, ქალაქ ზუგდიდის რუსთაველის ქუჩა N 79 |
| პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი | ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, ქალაქი ზუგდიდი, კ.გამსახურდიას ქუჩა N225 |

| | |
|---|---|
| *(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)* | |
| დაწესებულების სტატუსის მაძიებლის ვებ-გვერდი *(არსებობის შემთხვევაში)* | https://www.zugdidikids.ge/ |
| **3. ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ** | |
| დაწესებულების ავტორიზაცია (პირველადი)☒ | დაწესებულების ავტორიზაცია (განმეორებითი)☐ |
| **4. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ** | |
| ვიზიტის საფუძველი *(ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)* | MES 1 25 0000998139<br>19/08/2025 |
| ვიზიტის პერიოდი *(თარიღი)* | 23-24 სექტემბერი |

| **5. ინფორმაცია ბავშვების შესახებ (ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე)** | |
|---|---|
| **წინა ავტორიზაციის ფარგლებში საბჭოს მიერ განსაზღვრული ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა** | **ჩარიცხული ბავშვების რაოდენობა** |
| | |

| **6. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების დაწესებულების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის პროგრამ(ებ)ის შესახებ** |
|---|
| საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილების დანართი №1-ის სახით დამტკიცებული ***"ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესი"***-ს მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ იმ პროგრამის სახე/სახეები, რომლის განხორციელებაც სურს დაწესებულების სტატუსის მაძიებელს. |

| N | პროგრამის სახე[1] | კურიკულუმ(ებ)ის დასახელება | პროგრამის განხორციელების ენა | პროგრამის განხორციელების მიდგომა *(არსებობის შემთხვევაში) (ბილინგვური/ მულტილინგვური)* | თვითშეფასების მიხედვით პროგრამაზე მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა | ადრეული განათლების კურიკულუმი "თამაში" სასკოლო მზაობის პროგრამა "თამაში" | ქართული | | 160 |
| | | | | | ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐<br>არ ეთანხმება ☒<br>რეკომენდირებული რაოდენობა -90 |

## 7. ვიზიტის პროცესის საერთო მიმოხილვა

*მოკლედ აღწერეთ დაწესებულების სტატუსის მაძიებელში ვიზიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები*

ავტორიზაციის პროცესი დაწესებულებაში განხორციელდა 2025 წლის 23–24 სექტემბერს, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 19 აგვისტოს №MES 2 25 0000998301 ბრძანების საფუძველზე. ექსპერტთა ვიზიტი წარიმართა „დაგეგმილი საავტორიზაციო ვიზიტის დღის წესრიგის" შესაბამისად.

ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფს მიეწოდა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საავტორიზაციო განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია, რაც უზრუნველყოფდა მასალების წინასწარ გაცნობისა და დეტალური შესწავლის შესაძლებლობას. ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფის

[1] აისახოს მხოლოდ ის პროგრამა/პროგრამები, რომელიც მითითებულია დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასებაში. პროგრამის სახის სპეციფიკის/რაოდენობის გათვალისწინებით შესაძლებელია დაემატოს ველები.

თავჯდომარის მიერ დაიგგემა სამუშაო შეხვედრები, სადაც განიხილებოდა დოკუმენტაციასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაციის საჭიროება, შედგა დამატებით მოთხოვნილი დოკუმენტაციის სია და იგი გადაეგზავნა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელს დაგეგმილი საავტორიზაციო ვიზიტის დღის წერიგთან ერთად. ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა ასევე განვიხილეთ წინასწარი დასკვნები და შევთანხმდით თანამშრომლობის ფორმატზე.

ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა დამატებითი დოკუმენტები, რომლებიც დაწესებულების მიერ დროულად იყო წარდგენილი. ვიზიტის ორგანიზება იყო ეფექტური და სრულყოფილად განხორციელებული დაწესებულების მხრიდან.

ორი დღის განმავლობაში ექსპერტთა ჯგუფს მიეცა შესაძლებლობა შეხვედროდა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეს, მათ შორის: სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრის წარმომადგენლებს, მეთოდისტებს, გამგეს, იურისტს, ფინანსისტს, სამუშაო ჯგუფის წევრებს, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს, მედდას, საგანმანათლებლო და ადმინისტრაციულ პერსონალს. შეხვედრებისას განხილულ იქნა ავტორიზაციის შეფასებისთვის საჭირო საკითხები და დაზუსტდა შესაბამისი დეტალები.

ვიზიტის ფარგლებში, დღის წესრიგის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურა, რამაც შესაძლებელი გახადა დაგვენახა ინფრასტრუქტურის შესაბამისობა/შეუსაბამობა ავტორიზაციის სტანდარტებთან.

## 8. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

*გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც დაწესებულების სტატუსის მაძიებლის გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)*

................................................................................................................................................................................................................
.......................................................................................................................................................................................................

## 9. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

*(ასეთის არსებობის შემთხვევაში)*

................................................................................................................................................................................................................
................................................................................................................................................................................................................
.....................................................................................................................................................................................................

| 10. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების სქემა | | |
|---|---|---|
| სტანდარტი/კომპონენტი | დაწესებულების თვითშეფასება | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება |
| ავტორიზაციის I სტანდარტის შეფასების სქემა | | |
| 1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 1.1. დაწესებულების მისია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 1.2. სტრატეგიული განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## ნაწილი II: ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების სქემა[2]<br>სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა<br>ადრეული განათლების კურიკულუმი “თამაში“ სასკოლო მზაობის პროგრამა “თამაში“ | | |
|---|---|---|
| 2. კურიკულუმი | ☒ შეესაბამება | ☒ შეესაბამება |

[2] ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

| | | |
|---|---|---|
| | **☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** | **☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** |
| 2.1. კურიკულუმის დაგეგმვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.2. კურიკულუმის განხორციელება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| ავტორიზაციის III სტანდარტის შეფასების სქემა | | |
|---|---|---|
| **3. ოჯახისა და თემის ჩართულობა** | **☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** | **☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** |
| 3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **ავტორიზაციის IV სტანდარტის შეფასების სქემა** | | |
| **4. საალმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა** | **☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** | **☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☒ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** |
| 4.1. პერსონალის მართვა და განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.2. პროცესების მართვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება |

| | | |
|---|---|---|
| | ☐ არ შეესაბამება | ☐ არ შეესაბამება |
| 4.3. მატერიალური რესურსი | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☒ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☒ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☒ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☒ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.7.ფინანსური რესურსი | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

# ნაწილი III. ავტორიზაციის I, II, III და IV სტანდარტთან შესაბამისობის აღწერა, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

სარჩევი

1.1. დაწესებულების მისია

1.2. სტრატეგიული განვითარება

2.1. კურიკულუმის დაგეგმვა

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება

3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა

3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება

4.1. პერსონალის მართვა და განვითარება

4.2. პროცესების მართვა

4.3. მატერიალური რესურსი

4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი

4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები

4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება

4.7. ფინანსური რესურსი

# 1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება

## 1.1. დაწესებულების მისია

### 1.1.1. დაწესებულებას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში და საზოგადოებაში

1. დაწესებულების მისია ეხმიანება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას და განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებულ სივრცეს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ინდიკატორი მოითხოვს, რომ დაწესებულებას გააზრებული ჰქონდეს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში და საზოგადოებაში.

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს *„ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრის" დირექტორის 2025 წლის 17 ივლისის N ბ73.242519813 ბრძანებით დამტკიცებული „ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი"-სა და მის დაქვემდებარებაში შემავალი საბავშვო ბაღების სტრატეგიული განვითარების გეგმა",* რომელშიც გაჟღერებულია დაწესებულების მისია, კერძოდ:

**დაწესებულების მისია:** „დაწესებულების მისიაა უზრუნველყოს თამაშზე და შემოქმედებითობაზე დაფუძნებული უსაფრთხო, ინკლუზიური და ჰოლისტურ განვითარებაზე ორიენტირებული ხარისხიანი საგანმანათლებლო პროცესი, მშობლებთან და თემთან თანამშრომლობით ხელი შეუწყოს მულტიკულტურულ გარემოში ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას და საზოგადოების სრულუფლებიან წევრად ჩამოყალიბებას";

- ბაღი საკუთარ როლს განსაზღვრავს როგორც ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე ორიენტირებულ სივრცეს;
- უზრუნველყოფს უსაფრთხო, ინკლუზიურ, თამაშზე და შემოქმედებითობაზე დაფუძნებულ საგანმანათლებლო პროცესს;
- ხაზს უსვამს მშობლებთან და თემთან თანამშრომლობას, რაც ადგილობრივ სოციალურ კონტექსტს (მულტიკულტურული გარემო, დევნილთა თემები).

- მიზნად ისახავს ბავშვის სრულფასოვან, ჰოლისტურ განვითარებასა და საზოგადოებაში ინტეგრაციას, რაც ეროვნული სტანდარტების შესაბამისია.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია
----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------
------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

რჩევა
----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------
------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------
------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

2. **დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ინდიკატორი მოითხოვს, რომ დაწესებულებას ჰქონდეს მისიისგან გამომდინარე ჩამოყალიბებული ხედვა და ღირებულებები. დაწესებულებას განსაზღვრული აქვს ხედვა და ღირებულებები რაც ჩანს ***„ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრის" დირექტორის 2025 წლის 17 ივლისის N ბ73.242519813 ბრძანებით დამტკიცებული „ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი"-სა და მის დაქვემდებარებაში შემავალი საბავშვო ბაღების სტრატეგიული განვითარების გეგმაში"***

**დაწესებულების ხედვა:** „დაწესებულება აღიარებს და პატივს სცემს თითოეული ბავშვის უნიკალურობას; ის მიზანმიმართულად ქმნის გარემოს, სადაც ბავშვი სწავლობს თანაცხოვრებას მრავალფეროვან და ინკლუზიურ საზოგადოებაში, ავითარებს შემოქმედებით, კვლევით, სოციალურ და გარემოსდაცვით უნარებს, რაც ხელს უწყობს მის პასუხისმგებლიან და თვითმყოფად პიროვნებად ჩამოყალიბებას."

- დაწესებულების ხედვა გამომდინარებს მისიისგან და მასში ჩანს, რომ დაწეებულება აღიარებს ბავშვის უნიკალურობისა და მისი განვითარების გარემოს შექმნას, სადაც ბავშვი სწავლობს თანაცხოვრებას მრავალფეროვან, ინკლუზიურ საზოგადოებაში; აქცენტი კეთდება შემოქმედებით, კვლევით, სოციალურ და გარემოსდაცვით უნარებზე, რაც ბავშვის პასუხისმგებელ და თვითმყოფად პიროვნებად ჩამოყალიბებას ემსახურება.

**დაწესებულების ღირებულებები**:

1. ბავშვის საუკეთესო ინტერესის დაცვა;
2. ინკლუზიურობა და თანასწორობა;
3. მშვიდობის კულტურა და მულტიკულტურული თანაცხოვრება;
4. აქტიური თანამშრომლობა მშობლებთან და თემთან ბავშვის სრულფასოვანი განვითარებისთვის;
5. შემოქმედებითობა და ინოვაცია;
6. მდგრადობა და გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა.

- ღირებულებები პირდაპირ გამომდინარეობს მისიისა და ხედვისგან და ასახავს როგორც ეროვნულ სტანდარტებს, ასევე ადგილობრივი კონტექსტის სპეციფიკას (მულტიკულტურული და საზღვრისპირა გარემო).

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია
--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------
----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

რჩევა
--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------
----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------
----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

## 3. მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობით

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ინდიკატორი ითხოვს, რომ მისია, ხედვა და ღირებულებები შეიქმნას დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. დაწესებულების მიერ მოწოდებული დოკუმენტების შესწავლით დადგინდა, რომ:

დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებების შემუშავების პროცესი ასახულია დაწესებულების მიერ წარმოდგენილ *„ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრის" დირექტორის 2025 წლის 17 ივლისის N ბ73.242519813 ბრძანებით დამტკიცებული „ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი"-სა და მის დაქვემდებარებაში შემავალი საბავშვო ბაღების სტრატეგიული განვითარების გეგმაში" კერძოდ: „მუხლი 8. მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების და გაზიარების პროცესი".* დოკუმენტში იკვეთება, რომ:

დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, დაწესებულებას განსაზღვრული აქვს ამ მხარეების ჩამონათვალი. დაწესებულებას დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები შესამუშვებლად შექმნილი აქვს სამუშაო ჯგუფი რაც დასტურდება *„ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი"-ს დირექტორის 2025 წლის 09 ივლისის Nბ73. 24251902 ბრძანებით - „ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი"-სა და მის დაქვემდებარებაში შემავალი საბავშვო ბაღების წლიური სამოქმედო გეგმისა და სტრატეგიული გეგმის შესამუშავებლად დაწყებული სამიქნობის ფორმირების მიზენით ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრ"-ში სამუშაო ჯფუფის შექმნის შესახებ".*

- პროცესში ჩართული იყვნენ: („მუხლი 4. პროცესში ჩართული მხარეები" ) ბაღების გაერთიანების წარმომადგენლები, ბაღის თანამშრომლები, მშობლები, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები, თემის წარმომადგენლები ასევე სხვა დაინტერესებული მხარეები.

შედეგად, მიღებული მისია, ხედვა და ღირებულებები წარმოადგენს საერთო შეთანხმებულ ხედვას, რომელიც ასახავს როგორც საზოგადოების ინტერესებს, ასევე ბავშვის ჰოლისტური განვითარების საჭიროებებს.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

რჩევა

---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

## 4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან და საჯაროდაა ხელმისაწვდომი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ინდიკატორი ითხოვს, რომ დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებული იყოს ყველა დაინტერესებულ მხარესთან და ხელმისაწვდომი იყოს საჯაროდ. დაწესებულების დოკუმენტების შესწავლით დადგინდა, რომ:

მისია,ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან რაც დასტურდება **„ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის** ***,,სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს დირექტორის 2025 წლის 17 ივლისის №ბ73. 242519813 ბრძანებით -„ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-სა და მის დაქვემდებარებაში შემავალი საბავშვო ბაღების სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“.***

- შიდა და გარე დონეზე: ინფორმაცია გაზიარდა დაინტერესებულ მხარეებთან საინფორმაციო შეხვედრების გზით დასტურდება **„ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის** ***,,სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს დირექტორის 2025 წლის 17 ივლისის №ბ73. 242519813 ბრძანებით - „ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-სა და მის დაქვემდებარებაში შემავალი საბავშვო ბაღების სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ - კონკრეტულად „მუხლი 8. მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების და გაზიარების პროცესი - პუნქტი 4.“*** განსაზღვრავს გაზიარების პროცესს.

- საჯარო ხელმისაწვდომობა: მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია როგორც ვებ-გვერდზე, ასევე თითოეულ ბაღში საინფორმაციო დაფებზე.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია
------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

რჩევა
------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს დირექტორის 2025 წლის 17 ივლისის N ბ73. 242519811 ბრძანებით დამტკიცებული ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-სა და მის დაქვემდებარებაში შემავალი საბავშვო ბაღების სტრატეგიული განვითარების გეგმა;
2. ვებ-გვერდი: www.zugdidikids.ge;
3. ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს დირექტორის 2025 წლის 17 ივლისის Nბ73.242519813 ბრძანებით დამტკიდებული ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-სა და მის დაქვემდებარებაში შემავალი საბავშვო ბაღების სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი;
4. ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს დირექტორის 2025 წლის 17 ივლისის Nბ73.24251989 ბრძანებით დამტკიცებული ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-სა და მის დაქვემდებარებაში შემავალი საბავშვო ბაღების სამოქმედო გეგმები;

5. ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს დირექტორის 2025 წლის 09 ივლისის Nბ73. 24251902 ბრძანება „ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-სა და მის დაქვემდებარებაში შემავალი საბავშვო ბაღების წლიური სამოქმედო გეგმისა და სტრატეგიული გეგმის შესამუშავებლად დაწყებული სამიქნობის ფორმირების მიზენით ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრ“-ში სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
6. შეხვედრის ოქმი N2 (11.07.2025);
7. ინტერვიუს შედეგები;

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **1.1. დაწესებულების მისია** | | | |
| შეესაბამება ☒ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 1.2. სტრატეგიული განვითარება

### 1.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს დაგეგმვის პრაქტიკა

**1. დაწესებულებას აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს და ითვალისწინებს დაგეგმვის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგიის დოკუმენტი ფარავს არა მხოლოდ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშვების საკითხებს, არამედ, ასევე მოიცავს ამ გეგმების მონიტორინგისა და შეფასების თემებს და რაც ძალიან მნიშვნელოვანია დაგეგმვის პროცესში ჩართულია დაინტერესებული მხარეები.

დაწესებულებას გააჩნია **სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია**, რომელიც წარმოდგენილია დაწესებულების თვითშეფასების ფორმის დანართად - ***„ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს დირექტორის 2025 წლის 17 ივლისის N ბ73. 242519813 ბრძანებით დამტკიცებული „ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-სა და მის დაქვემდებარებაში შემავალი საბავშვო ბაღების სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“*** *(მუხლი 10. სტრატეგიული გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია)* დოკუმენტი მოიცავს როგორც სტრატეგიული, ასევე სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების *(მუხლი 13. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება)* მექანიზმებს.

სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში განსაზღვრულია:

**მეთოდოლოგია** - წარმოდგენილ დოკუემტაციაში ჩანს რომ დაწესებულება სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიად იყენებს SWOT ანალიზს, რომელიც გულისმხობს დაწესებულების ძლიერი და სუსტი მხარეების, ასევე შესაძლებლობების და საფრთხეების ანალიზს.

**სტრატეგიული გეგმის გაზიარების პროცედურები** - გაზიარების მექანიზმები განსაზღვრულია მე-6 მუხლით „ დოკუმენტების გაზიარება“, რაც მოიცავს სხვადასხვა საკომუნიკაციო არხს, კერძოდ:
ა) მართვის ცენტრის ვებ-გვერდი;
ბ) ელექტრონული ფოსტა;
გ) სოციალური მედია;
დ) საჯარო ღონისძიებები (შეხვედრები, ვორქშოპები და ა.შ)
ე) ელექტრონული პლატფორმები (მაგ. Zoom, Teams).
ვ) სხვა

**სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშვების პროცესი** - შემდეგი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელსაც მეთოდოლოგია ფარავს არის გეგმების შემუშავების პროცესი. როგორც სტანდარტის ინდიკატორი ითხოვს, ეს პროცესი დაწესებულებაში ხორციელდება დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. დაწესებულებას პროცესის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრული ჰყავს მე-7-ე მუხლის („მუხლი 7. პროცესის წარმმართველი სამუშაო ჯგუფის ფორმირება და მუშაობის წესი“) მიხედვით შექმნილი ჯგუფი, რომლის წევრები განსაზღვრულია მეოთხე პუქტით. წევრების ჩამონათვალი განსაზღვრულია შემდეგნაირად:
ა) გაერთიანების წარმომადგენლ(ებ)ი;
ბ) გაერთიანებაში შემავალი ბაღების წარმომადგენლები;
გ) მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი;
დ) თემის წარმომადგენელი;
ე) ორგანიზაციის/დონორის წარმომადგენელი, რომელთანაც მჭიდრო თანამშრომლობა აქვს ბაღს;

ვ) მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი/საკონსულტაციო საბჭოს წევრი;

დაგეგმვის პროცესში უზრუნველყოფილია დაინტერესებული მხარეების აქტიური ჩართულობა - *„ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს დირექტორის 2025 წლის 09 ივლისის №ზ73. 24251902 ბრძანებით - „ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-სა და მის დაქვემდებარებაში შემავალი საბავშვო ბაღების წლიური სამოქმედო გეგმისა და სტრატეგიული გეგმის შესამუშავებლად დაწყებული სამიქნობის ფორმირების მიზენით ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრ“-ში სამუშაო ჯფუფის შექმნის შესახებ“.* ჩანს, რომ სამუშაო ჯგუფში იყვნენ როგორც ბაღის გამგეები, მშობლები, თემის წარმომადგენლები და ასევე მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები.

- სტრატეგიული დაგეგმვა განხორციელდა თანამონაწილეობის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპებზე დაყრდნობით, ჩატარდა შეხვედრა სადაც ადმინისტრაციის, პერსონალისა და დაინტერესებული მხარეების მიერ გამოთქმული მოსაზრებები გათვალისწინებულ იქნა საბოლოო დოკუმენტში.*წარმოდგენილია შეხვედრის ოქმი N2, თარიღი: 11.07.2025*

**სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება** - დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგიაში ჩანს რომ სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ, შუალედურ პერიოდში (3 წელს) და ბოლოს. მონიტორინგი მიზნად ისახავს ამოცანებითა და აქტივობებით განსაზღვრული შედეგების შესრულების შემოწმებას, გამოწვევების გამოვლენასა და რეკომენდაციების განსაზღვრას. მე-13 მუხლში იკითხება, რომ სტრატეგიული გეგმის შუალედური შეფასების პროცესში ვლინდება ზუსტი საჭიროებები და დაწესებულებას საშუალება ეძლევა, საჭიროების შემთხვევაში, დააკორექტიროს მიზნები და ამოცანები, ხოლო საბოლოო შეფასების ძირითადი მიზანია შემდგომი სტრატეგიული გეგმის შემუშავებისა და განხორციელებისათვის ინფორმაციის უზრუნველყოფა. საბოლოო შეფასება ტარდება სტრატეგიის დასრულებამდე არაუგვიანეს 6 თვისა, რაც დაწესებულებას საშუალებას აძლევს შესაძლებელი გახდეს შედეგების გამოყენება შემდგომი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებისას.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგია მოიცავს სამოქმედო გეგმის მონიტორინგს ფორმას და პერიოდულობას- დაწესებულება ახორციელებს სამოქმედო გეგმების მონიტორინგს კვარტალურად, ხოლო შეფასებას წლიურად. დაწესებულება მონიტორინგის დროს აგროვებს მონაცემებს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და აქტივობების შესრულების სტატუსთან დაკავშირებით, ხოლო შეფასებისას აანალიზებს შეგროვებულ მონაცემებს და განსაზღვრავს შემდგომი რეაგირების საჭიროებებს.

**სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის ცვლილებების პროცედურები** - სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მე-13 მუხლის მეშვიდე პუნქტში წერია, რომ *„სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შეფასების პროცესის შედეგად შეიძლება გამოიკვეთოს აღნიშნულ დოკუმენტებში*

*ცვლილებების შეტანის აუცილებლობა; ასევე, შეფასების შედეგები მართვის ცენტრს აძლევს ინფორმაციას დაგეგმვის პროცესის ხარისხის, აქ არსებული გამოწვევების და პრობლემების შესახებ. შეფასების შედეგებს ბაღი იყენებს შემდგომი განვითარებისათვის".* სტანდარტის მოთხოვნის მიხედვით მეთოდოლოგია მოიცავს გეგმებში ცვლილებების შეტანის პროცესს, რადგან როგორც წესი, სხვადასხვა მიზეზებიდან გამომიდნარე, ასეთი საჭიროება დგება. სტრატეგიული გეგმის შემთხვევაში ეს შეიძლება იყოს: კანონმდებლობის ცვლილება, ეროვნულ დონეზე ახალი სტრატეგიების დამტკიცება, დაწესებულების მისიის შეცვლა, დაწესებულების მენეჯმენტის შეცვლა, სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგები, რაც აჩვენებს, რომ ზოგიერთი მიზნის მიღწევა აღარაა, რელევანტური ან შესაძლებელი და სხვ. დაწესებულების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის ცვლილების შეტანის პროცესები აღწერილია - *„ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი"-ს დირექტორის 2025 წლის 17 ივლისის №ბ73. 242519813 ბრძანების 12-ე მუხლში - „ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი"-სა და მის დაქვემდებარებაში შემავალი საბავშვო ბაღების სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ" „ მუხლი 12. მისიაში, ხედვასა და ღირებულებებში, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში ცვლილებების შეტანა და გაზიარება"*

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

..................................................................................................................................................................................................................................

.................................................................................................................................................................................................

რჩევა

..................................................................................................................................................................................................................................

.................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..................................................................................................................................................................................................................................

.................................................................................................................................................................................................

## 2. სტრატეგიული გეგმა არის არანაკლებ ხუთწლიანი, ციკლური და შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან. ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებუელბას წარმოდგენილი აქვს ხუთწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა (2025-2030), რომელიც შემუშავდა და დამტკიცდა **ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტი-ს“ დირექტორის მიერ 2025 წლის 17 ივლისის** ***№ ბ73. 242519811 ბრძანებით, ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-სა და მის დაქვემდებარებაში შემავალი საბავშვო ბაღების სტრატეგიული განვითარების გეგმის დამტკიცების შესახებ.*** დაწესებულების სტრატეგიული გეგმა არის ციკლური, აღნიშნული დასტურდება ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-სა და მის დაქვემდებარებაში შემავალი საბავშვო ბაღების სტრატეგიული განვითარების გეგმის დამტკიცების შესახებ ბრძანებით.

დაწესებულების სტრატეგიული გეგმა მისიასათან, ხედვასთან და ღირებულებებთან შესაბამისობაშია. დაწესებულებას გაცნობიერებული აქვს, რომ სტრატეგიული დაგეგმარების პროცესისას, როდესაც ხდება არებული მდგომარეობის შეფასება, ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება, სტრატეგიული მიზნების ფორმულირება, ყოველთვის გასათვალისიწნებელია მისია, ხედვა და ღირებულებები, როგორც უმაღლეს დონეზე დეკლარირებული პრინციპები, რომლებთან წინააღმდეგობაში არ უნდა მოდიოდეს სტრატეგიული მიზნები და აქტივობები. ამასთან, დაწესებულებას ესმის, რომ სტრატეგიული გეგმა წარმოადგენს მისიისა და ხედვის რეალიზაციის გზას. სტრატეგიული გეგმის შექმნის პროცესში გამოყენებულ იქნა SWOT ანალიზი, რომელიც სისტემურად აანალიზებს დაწესებულების ძლიერ და სუსტ მხარეებს, შესაძლებლობებსა და საფრთხეებს. ეს მეთოდოლოგია გვიჩვენბებს სად არის დაწესებულება ახლა, ხოლო მერე მხრივ, ხედვა გვიჩვენებს სად უნდათ, რომ იყონ დროის განსაზღვრულ პერიოდში. დაწესებულების სტრატეგიული გეგმა ამ ორი წერტილის შემაერთეველი მონაკვეთია, შესაბამისად დაწესსებუელბას განსაზღვრული აქვს გზა, რომელიც უნდა გაიაროს, რათა მივიდეს სასურველ მდგომარეობამდე. სტრატეგიულ მიზნებში კი განსაზღვრული აქვს ამ გზებზე გადასადგამი დიდი ნაბიჯები.

დაწესებულების სტრატეგიულ გეგმას აქვს სტრატეგიული მიზნები და ამოცანები. დაწესებულების მიზნები არის მისიასთან შესაბამისობაში, ხოლო ამოცანები მიზნების შესაბამისია. აქედან გამომდინარე დაწესებულების მიერ დამტკიცებული სტრატეგიული გეგმა მოიცავს მიზნებთან შესაბამის აქტივობებს, რაც უზრუნველყოფს მიზნებისა და ამოცანების პრაქტიკულ განხორციელებას.

- სტრატეგიული მიზნები და ამოცანები პირდაპირ ასახავს ბაღის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს:

1. **უსაფრთხო და ინკლუზიური გარემოს უზრუნველყოფა** - მისიის კომპონენტი ინკლუზიური და უსაფრთხო სივრცის შექმნაზე.
2. **გარემოს დაცვა და მდგრადი განვითარების ხელშეწყობა** - მისიის ეკოლოგიური და ჰოლისტური განვითარების მხარე.
3. **პერსონალის პროფესიული განვითარება** - მისიის განხორციელების წინაპირობა.

4. **თანამშრომლობა და კომუნიკაცია მშობლებთან და საზოგადოებასთან-მშვიდობის და თანაცხოვრების კულტურის განვითარება**- მისიის სოციალური და კულტურული კომპონენტი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საზღვრისპირა და დევნილობით დატვირთულ რეგიონში.

- თითოეული მიზანი მისიის პრაქტიკულ განშტოებას წარმოადგენს და ერთობლიობაში ქმნის ქმედით ჩარჩოს, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვის ჰოლისტურ განვითარებას, ინკლუზიურობას, ეკოლოგიურ პასუხისმგებლობას, პროფესიონალიზმს და სათემო თანამშრომლობას.

საბოლოოდ, სტრატეგიული გეგმა სრულ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნასთან: არის გრძელვადიანი, ციკლური, მისია- ხედვა-ღირებულებებზე დაფუძნებული და შეიცავს მიზნებსა და მათ შესაბამის ამოცანებს.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.......................................................................................................................................................................................................................

რჩევა

.......................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.......................................................................................................................................................................................................................

## 3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას და დაწესებულების ყოველწლიურ თვითშეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას სამოქმედო გეგმა შედგენილი აქვს ერთ წლისთვის და ბევრად უფრო კონკრეტულია, ვიდრე სტრატეგიული გეგმა. სამქომედო გეგმა დამტკიცებულია - ***ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი"-ს დირექტორის 2025 წლის 17 ივლისის №ბ73. 24251989 ბრძანებით ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი"-სა და მის დაქვემდებარებაში შემავალი საბავშვო ბაღების სამოქმედო გეგმების დამტკიცების შესახებ.*** მასში თავს იყრის სტრატეგიული

მიზნების და ამოცანების მისაღწევად საჭირო ის აქტივობები, რომლებიც ერთი წლის განმავლობაშია შესრულებადი და ემთხვევა კალენდარულ წელს (2026).

დაწესებულება ამოდის სტრატეგიული მიზნებიდან და ამოცანებიდან, ამავდროულად ითვალისწინებს ყოველწლიური თვითშეფასების შედეგებს. წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ დაწესებულების სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სტრატეგიული გეგმიდან და ყოველწლიური თვითშეფასებიდან, რაც უზრუნველყოფს მის შესაბამისობას როგორც გრძელვადიან მიზნებთან, ისე მიმდინარე საჭიროებებთან;

აქედან გამომდინარე, სამოქმედო გეგმა სრულ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნასთან - არის ერთწლიანი, თვითშეფასებასა და სტრატეგიულ გეგმაზე დაფუძნებული.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი და პირდაპირ ეფუძნება სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს; აღნიშნული ინდიკატორი მიემართება დოკუმენტის შინაარსის შეფასებას და განსაზღვრავს მოთხოვნებს სამოქმედო გეგმის სტრუქტურისადმი. სამოქმედო გეგმა დაწესებულების მიერ

წარმოდგენილია ცხრილის სახით და ასახულია ინდიკატორით მოთხოვნილი ყველა ინფორმაცია. ***ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს დირექტორის 2025 წლის 17 ივლისის №ბ73. 24251989 ბრძანებით დამტკიცებული „ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-სა და მის დაქვემდებარებაში შემავალი საბავშვო ბაღების სამოქმედო გეგმები.“***

სამოქმედო გეგმის შევსებული ველებია:

**სტრატეგიული მიზანი-** სამოქმედო გეგმაში სტრატეგიული გეგმიდან გადმოტანილია სტრატეგიული მიზნები;

**ამოცანა** - სამოქმედო გეგმაში სტრატეგიული გეგმიდან გადმოტანილია ამოცანები, რომელთა განხორციელებასაც გეგმავს დაწესებულება მიმდინარე წელს;

**აქტივობები** - სამოქმედო გეგმაში მოცემულია კონკრეტული ქმედებები, რომელიც უნდა განახორციელოს დაწესებულებამ განსაზღვრულ დროს. ეს აქტივობები ასახავს იმ ნაბიჯებს, რომელიც უნდა გაიაროს დაწესებულება ამოცანის შესასრულებლად. აქტივობის ფორმულირებისთვის გამოყენებულია სახელზმნა. მაგ: „მშვიდობის ხის“ პროექტის განხორციელება ეზოში

**შესრულების გაზომვადი ინდიკატორები** - ინდიკატორები განსაზღვრულია აქტივობებისთვის, ჩამოთვლილია ის ობიექტური გარემოებები, რომელიც ადასტურებს, რომ დაწესებულების მიერ გაწერილი აქტივობები ნამდვილად მიღწევადია. ინდიკატორი არის გაზომვადი და ფორმულირებულია ხარისხობრივად/რაოდენობრივად.

**ვადა**- სამოქმედო გეგმაში მითითებულია პერიოდი, რომლის განმავლობაშიც სრულდება კონკრეტული აქტივობა. ვადები წარმოდგენილია თვეებში.

**პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები** - ყველა აქტივობისთვის განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი და პასუხისმგებელი ერთეული ზოგადად, თუმცა არ არის მითითებული კონკრეტული პირი, ვისაც დაეკისრება აქტივობების შერულებაზე პასუხისმგებლობა. პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა მონიტორინგის პროცესსაც შეუწყობს ხელს.

**რესურსი**- განხილულია ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს აქტივობების შესრულებას.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

........................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

დაწესებუელბას ჰყავს ერთი და იგივე პოზიციაზე რამდენიმე ადამიანი დასაქმებული და სასურველია სახელობითად იყოს მოხსენებული ის თანამშრომლები, ვისაც კონკრეტული აქტივობის განხორციელება ევალება.  სამოქმედო გეგმაში კონკრეტულ აქტივობებზე განსაზღვრული პირები და მათი ფუნქციები/სამუშაო აღწერილობები მნიშვნელოვანია იყოს ურთიერთდაკავშირებული.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 5. მეთოდოლოგიის შესაბამისად დაწესებულება ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს როგორც სტრატეგიული, ასევე სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს ; ***„ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს დირექტორის 2025 წლის 17 ივლისის №73. 242519813 ბრძანების მე-14 მუხლში - „ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-სა და მის დაქვემდებარებაში შემავალი საბავშვო ბაღების სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“*** **- მუხლი 14. „სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის მონიტორინგის მექანიზმი“** წარმოდგენილია მეთოდოლოგიის შესაბამისად გაწერილი სტრატეგიული გეგმის მონიტორინგის განხორციელების პროცესი, თუმცა მონიტორინგის პრაქტიკა ამ დრომდე არ ჰქონიათ.

დაწესებუელბა აცნობიერებს, რომ მონიტორიგნის პროცესი გულისხმობს მონაცემების შეგროვებას, ხოლო შეფასება გულისხმობს მათ ანალიზსა და რეაგირების განხორციელებას.  მექანიზმში გაწერილია, რომ მონიტორინგის მიზანია შედეგების შესრულების შემოწმება, გამოწვევების იდენტიფიცირება და რეკომენდაციების ჩამოყალიბება. გაწერილია, რომ პროცესმა უნდა მოიცვას როგორც ინფორმაციის შეგროვება შესრულებულ აქტივობებზე, ასევე შეფასება, თუ რამდენად შეესაბამება ეს აქტივობები სტრატეგიულ და სამოქმედო მიზნებს. ***(ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს დირექტორის 2025 წლის 17 ივლისის №73. 242519813 ბრძანება „ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-სა და მის დაქვემდებარებაში***

*შემავალი საგავშვო ბაღების სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“- მუხლი 15. სამოქმედო/სტრატეგიული გეგმების შეფასება)*

სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის მე-13 მუხლში „სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება“ განსაზღვრულია მონიტორინგის განხორციელების პერიოდულობა. მეორე პუნქტის მიხედვით „სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ, შუალედურ პერიოდში (3 წელს) და ბოლოს.“ მეოთხე პუნქტში ვკითხულობთ „4. დაწესებულება ახორციელებს სამოქმედო გეგმების მონიტორინგს კვარტალურად, ხოლო შეფასებას წლიურად.“

მეთოდოლოგიაში იკვეთება, რომ მონიტორინგისა და შეფასების პროცესს კოორდინაციას უწევს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე. სამუშაო ჯგუფის ორგანიზებით იმართება გაერთიანებული შეხვედრა, რომელსაც ესწრებიან სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები. სხდომის თავმჯდომარე დეტალურად გადის სტრატეგიულ/სამოქმედო გეგმას და შესაბამისი პირების ჩართულობით თითოეულ აქტივობას ანიჭებს სტატუსს: „შესრულდა“, „ნაწილობრივ შესრულდა“, „არ შესრულდა“. შეხვედრის ოქმს ადგენს სამუშაო ჯგუფის მდივანი. ასევე ის უზრუნველყოფს წერილობითი ანგარიშებისა და მტკიცებულებების შეგროვებას. მოცემულ წესში არ ჩანს სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების მონიტორინგისას განსახილველი საკითხები.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

…………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების მონიტორინგისას განსახილველი საკითხები შედიოდეს წესში. მაგ.:

- რა შესრულდა?
- რისი განხორციელება შეფერხდა?
- რომელმა ამოცანამ დაკარგა აქტიურობა და საჭიროა, რომ ამოღებული იქნას გეგმიდან?
- რომელიმე ამოცანის დამატება ხომ არაა საჭირო?
- როგორ მიყვება დაწესებულება განხორციელდების ვადები და ა.შ.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

........................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................

## 6. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები საჯაროდაა ხელმისაწვდომი და გამოიყენება დაწესებულების შემდგომი განვითარებისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას უნდა გააჩნდეს სანდო მტკიცებულებები, რომ სამოქმედო გეგმის მონიტორინგი რეალურად ხორციელდება და საჭიროების შემთხვევაში, თუ რომელიმე აქტივობა არ ან ვერ შესრულდა ამას მოჰყვება შესაბამისი რეაგირება. იქიდან გამომდინარე რომ აღნიშნლი პრაქტიკა ჯერ დაწესებულებას არ განუხორციელებია დაწესებულება ხელმძღვანელობს მხოლოდ ***ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი"-ს დირექტორის 2025 წლის 17 ივლისის №პ73. 242519813 ბრძანებით დამტკიცებული - „ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი"-სა და მის დაქვემდებარებაში შემავალი საბავშვო ბაღების სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესით."*** აღნიშნული ბრძანების მე-15 მუხლში ვკითხულობთ, რომ კალენდარული წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის და 3 წლის ბოლოს სტრატეგიული გეგმის შესრულების შედეგები ფორმდება ანგარიშის სახით. სამოქმედო გეგმის ანგარიში ყალიბდება ნარატიული ფორმით. მართვის ცენტრი უფლებამოსილია ანგარიშში შეიტანოს ისეთი ინფორმაციაც, რომელიც არ შედიოდა სამოქმედო გეგმაში და სტრატეგიულ გეგმაში. მაგ: წარმოადგინოს სტატისტიკური ინფორმაცია სხვადასხვა ჭრილში, განათავსოს სხვადასხვა აქტივობის ამსახველი ფოტო მასალა, გაამდიდროს ინფორმაცია ინტერვიუებით სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან და ა.შ. ანგარიშე(ბ)ი საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით განთავსდება მართვის ცენტრის ვებგვერდზე. ანგარიშ(ებ)ის გაზიარებისთვის ასევე გამოიყენება ამ წესის მე-6-ე მუხლით განსაზღვრული საკომუნიკაციო არხები.

- სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის მიხედვით, ყოველი კალენდარული წლის ბოლოს მზადდება სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, ხოლო სტრატეგიული გეგმის შესრულების შედეგები აისახება ანგარიშში ყოველ მესამე წელს;
- ანგარიშები საჯაროდ ხელმისაწვდომია და განთავსდება დაწესებულების ვებ-გვერდზე, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობასა და დაინტერესებული მხარეების ინფორმირებულობას.
- წესში გაწერილია, რომ ანგარიშები გამოიყენება შემდგომი განვითარების პროცესში. მონიტორინგის ფარგლებში შეგროვებული ანგარიშები გასაანალიზებლად გადაეცემა სამუშაო ჯგუფს, რომელიც შინაარსობრივად სწავლობს შეგროვებულ ინფორმაციას და

წარმოადგენს შუალედურ ანგარიშს. სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნულ ანგარიშებზე დაყრდნობით, წარადგენს ინიცირების წერილს სამოქმედო და სტრატეგიულ გეგმაში ცვლილებების შეტანის შესახებ. ცვლილებების პროცესი მიმდინარეობს ამ წესის მე-12 მუხლის შესაბამისად.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

..........................................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

..........................................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................................................................................................

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს დირექტორის 2025 წლის 17 ივლისის N ბ73. 242519811 ბრძანებით დამტკიცებული ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-სა და მის დაქვემდებარებაში შემავალი საბავშვო ბაღების სტრატეგიული განვითარების გეგმა;
2. ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს დირექტორის 2025 წლის 17 ივლისის Nბ73.242519813 ბრძანებით დამტკიდებული ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-სა და მის დაქვემდებარებაში შემავალი საბავშვო ბაღების სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი.
3. ვებ-გვერდი: www.zugdidikids.ge ;
4. ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს დირექტორის 2025 წლის 17 ივლისის Nბ73.24251989 ბრძანებით დამტკიცებული ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-სა და მის დაქვემდებარებაში შემავალი საბავშვო ბაღების სამოქმედო გეგმები;

5. ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს დირექტორის 2025 წლის 09 ივლისის №ბ73. 24251902 დამტკიცებული ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრ“-ისა და მის დაქვემდებარებაში არსებული საბავშვო ბაღების წლიური სამოქმედო გეგმებისა და სტარტეგიულის გეგმის შესამუშავებლად დაწყებული საქმიანობის ფორმირების მიზნით ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრ“-ში სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება;
6. ინტერვიუს შედეგები;

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **1.2. სტრატეგიული განვითარება** | | | |
| შეესაბამება ☒ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 2. კურიკულუმი [3]

### პროგრამის სახე

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა

### კურიკულუმის დასახელება

1. ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“

[3] მეორე სტანდარტის „კურიკულუმის“ ყველა ველი ივსება თითოეული პროგრამისათვის ცალ-ცალკე.

2. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“

## 2.1. კურიკულუმის დაგეგმვა

## 2.1.1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის დაგეგმვის პრაქტიკა

### 1. პროგრამის განხორციელებისას დაწესებულება ხელმძღვანელობს წინასწარ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა *ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს დირექტორის 2025 წლის 18 ივლისის N ბ73. 24251994 ბრძანებით დამტკიცებული ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს დაქვემდებარებაში არსებულ სკოლამდელ აღზრდის დაწესებულებებში კურუკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი.*

აღნიშნული წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად კურიკულუმის შერჩევის პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა) კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი ჯგუფის შექმნა;

ბ) ჯგუფის მიერ არსებული კურიკულუმის გაცნობა;

გ) კურიკულუმის/კურიკულემების შერჩევა;

დ) კურიკულუმის/კურიკულემების დამტკიცება.

ამავე წესის მიხედვით, კურიკულუმის შერჩევის მიზნით, მართვის ცენტრის დირექტორის ბრძანებით იქმნება კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფი (მე-2 მუხლის მეორე პუნქტი). ჯგუფის მიერ ხდება არსებული კურიკულემების მოძიება (მე-2 მუხლის მეოთხე პუნქტი), შერჩევა და დასამტკიცებლად მართვის ცენტრის დირექტორისთვის წარდეგენა (მე-2 მუხლის მეხუთე პუნქტი).

დაწესებულებამ წარმოადგინა *“კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესის შესამუშავებლად დაწყებული საქმიანობის ფორმირების მიზნით, ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრ”-ში სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ”, ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს დირექტორის 2025 წლის 29 იანვრის N ბ73. 2425029001 ბრძანება.*

ზემოაღნიშნულ ბრძანებაში იკითხება რომ შეიქმნა სამუშაო ჯგუფი კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესის შესამუშაველად დაწყებული საქმიანობის ფორმირების მიზნით (მუხლი 1). ჯგუფი შედგება 26 წევრისაგან, მათ შორის არის 1 აღმზრდელის თანაშემწე, 16 აღმზრდელი, 2 გამგე, 1 სკოლამდელი აღზრდის განყოფილების უფროსი, 3 სკოლამდელი აღზრდის

განყოფილების მთავარი სპეციალისტი, 1 სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრის დირექტორის მოადგილე, 1 სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრის დირექტორი. დაწესებულების იურისტი ინტერვიუს დროს განმარტავს, რომ აღნიშნული შემადგენლობა ვერ იქნება რაიმე მარეგულირებელი წესის შექმნაზე პასუხისმგებელი, და რომ დოკუმენტის სათაურსა და პირველ მუხლში დაშვებულია შეცდომა, კერძოდ, ბრძანების ეს ნაწილები არასწორადაა ფორმულირებული. მისი განმარტებით, ჯგუფი შეიქმნა არა კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესის შემუშავების მიზნით, არამედ კურიკულუმის შერჩევის მიზნით. აღნიშნულის მტკიცებულებად დაწესებულებამ წარმოადგინა ოქმი (*კურიკულუმის შესარჩევად სამუშო ჯგუფის შექმნის შესახებ - ოქმი N2; 25.01.2025*) (აღნიშნული ოქმით მიიღეს გადაწყვეტილება, თუ ვინ იქნებოდა კურიკულუმის შესარჩევად შექმნილი ჯგუფის წევრი), რომელიც წინ უსწრებს ზემოაღნიშნული ბრძანების შექმნა. მასში მითითებულ წევრთა ჩამონათვალი თანხვედრაშია ბრძანებაში მითითებულ პირთა ნუსხასთან, და ასევე იმ პირათა ნუსხასთან, რომლებიც ხელს აწერენ ოქმს, კურიკულუმის შერჩევის შესახებ (*კურიკულუმის შერჩევა - ოქმი N1; 04.02.2025*).

დაწესებულების ხელმძღვანელი ინტერვიუში ადასტურებს, რომ კურიკულუმის შესარჩევად ჯგუფი იანვარში დამტკიცდა. აღმზრდელები აღნიშნავენ ასევე, რომ კურიკულუმის შერჩევაზე საუბარი სააახლწლო არდადეგების შემდეგ, იანვარიში დაიწყეს. ამ პერიოდში ისინი აქტიურად განიხილავდნენ სხვადასხვა კურიკულუმებს, შეხედულებებს კი უზიარებდნენ კურიკულუმის შერჩევის მიზნით შექმნილი ჯგუფის წევრ - კოლეგას, რომელიც თავის მხრივ მათ მოსაზრებას ახმოვანებდა ჯგუფში.

ჯგუფის მიერ შერჩეული კურიკულუმი დამტკიცდა ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს დირექტორის მიერ.

შესაბამისად, დაწესებულებამ წარმოადგინა კურიკულუმის დეკლარირების ამსახველი დოკუმენტი, კერძოდ, ***ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს დირექტორის 2025 წლის 17 ივლისის N ბ73. 24251983 ბრძანებით დამტკიცებული ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს დაქვემდებარებაში არსებულ სკოლამდელ აღზრდის დაწესებულებებში შერჩეული კურუკულუმები.***

ზემოაღნიშნული ბრძანების მიხედვით, დაწესებულება პროგრამის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმებით:

- ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“
- სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

............................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა კურიკულუმის შერჩევის პროცესის ამსახველი მასალები, სასურველია ყურადღება მიექცეს ტექსტის ფორმულირებასა და დოკუმენტაციის ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას, რაც პირდაპირ შეესაბამება „ადრეული განათლების კურიკულუმის შერჩევის, შექმნის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიით" განსაზღვრულ მოთხოვნებს, და თავად დაწესებულების მიერ შექმნილ კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესს.

ამდენად, სასურველია კურიკულუმის შერჩევის პროცესზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანებაში (ამჟამინდელი სათაური: *"კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესის შესამუშავებლად დაწყებული საქმიანობის ფორმირების მიზნით, ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრ"-ში სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ")* არსებული ხარვეზი შესწორდეს და მოხდეს მისი სათაურისა და პირველი მუხლის სწორად ფორმულირება.

ასევე სასურველია დოკუმენტაციის მომზადებისას დაცული იყოს ქრონოლოგია.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.......................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................

### 2. დაწესებულების მიერ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმი ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პროგრამის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმებით:

- ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში (I და II ნაწილი)
- სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში", აქტივობათა კრებული პირველი და მეორე ნაწილი.

აღნიშნული კურიკულუმები ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას რაც ვლინდება: განვითარების ყველა ძირითადი სფეროს დაფარვაში, თამაშზე დაფუძნებულ მიდგომაში, ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებაში, ოჯახთან და თემთან თანამშრომლობის ხელშეწყობაში; განვითარებაზე ორიენტირებულ შეფასების სისტემაში.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 3. კურიკულუმი ეფუძნება თამაშს და ითვალისწინებს ბავშვს, როგორც აქტიურ მონაწილეს საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პროგრამის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმებით:

- ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში (I და II ნაწილი)
- სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“, აქტივობათა კრებული პირველი და მეორე ნაწილი.

ზემოაღნიშნული კურიკულუმები ეფუძნება თამაშს, რაც ვლინდება შემდეგში:

- ბავშვებს აქვთ თავისუფლება აირჩიონ აქტივობა, თავად დაასახელონ თემა, იპოვონ გადაჭრის გზები და გამოხატონ საკუთარი აზრი თამაშის საშუალებით;
- სივრცე დაყოფილია ცენტრებად, რაც ქმნის ხელსაყრელ პირობებს თამაშისთვის;
- აღმზრდელი თამაშის პროცესში მოქმედებს როგორც პარტნიორი და დამკვირვებელი, რომელიც ხელს უწყობს ბავშვის ინიციატივას.
- თემატური ერთეულები ვითარდება თამაშის ფორმატში და ებმება ბავშვის ყოველდღიურ გამოცდილებას.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

..........................................................................................................................................................................................................................................................

.................................................................................................................................................................................................................

რჩევა

..........................................................................................................................................................................................................................................................

.................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................................................................................................

.................................................................................................................................................................................................................

## 4. კურიკულუმი ითვალისწინებს ოჯახთან/თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პროგრამის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმებით:

- ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“
- სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“

აღნიშნული კურიკულუმები ითვალისწინებს ოჯახთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას, რაც ვლინდება: სასწავლო - სააღმზრდელო პროცესში მშობლის როლის აღიარებაში, მშობელთა შეხვედრების, კონსულტაციებისა და ღია კარის დღეების ორგანიზებაში, ოჯახური რესურსების გამოყენებაში საგანმანათლებლო პროცესის გამდიდრების მიზნით, ოჯახური გარემოსა და საჭიროებების გათვალისწინებაში ინდივიდუალური დაგეგმვისას, კურიკულუმის გადახედვისა და გაუმჯობესების პროცესში მშობელთა შეფასებისა და წინადადებების ინტეგრირებაში.

კურიკულუმი ითვალისწინებს თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას, რაც ვლინდება: საგანმანათლებლო გარემოს გაფართოებაში თემის სივრცეებში, თემის წარმომადგენელთა ჩართვაში, თანამშრომლობითი ღონისძიებების ორგანიზებაში.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 5. კურიკულუმი ითვალისწინებს მრავალფეროვან, ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პროგრამის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმებით:

- ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“
- სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“

აღნიშნული კურიკულუმები ითვალისწინებს მრავალფეროვან საქმიანობებს, რაც ვლინდება იმაში, რომ ბავშვებს ყოველდღიურად ეძლევათ სხვადასხვა ტიპის აქტივობებში მონაწილეობის საშუალება. აქტივობები ინტერაქტიურია და ორიენტირებულია ბავშვის ჰოლისტური განვითარების ხელშეწყობაზე. მრავალფეროვნება ვლინდება კურიკულუმის მეთოდში თემა და პროექტი, რაც თავისთავად მოიცავს როგორც დაწესებულებაში განხორციელებულ აქტივობებს, ასევე საგანმანათლებლო გარემოს გაფართოებაში თემის სივრცეებში, თემის წარმომადგენელთა ჩართვაში, თანამშრომლობითი ღონისძიებების ორგანიზებაში.

აღნიშნული კურიკულუმები ითვალისწინებს ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს, რაც ვლინდება იმაში, რომ კურიკულუმის მიხედვით აქტივობები იგეგმება ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების შესაბამისად. გათვალისწინებულია შერეული ასაკობრივი ჯგუფების საჭიროებები. უზრუნველყოფილია ბავშვების ინდივიდუალური ტემპით ჩართვის, გამოწვევების მიღებისა და წარმატების განცდის შესაძლებლობა.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 6. კურიკულუმი გაზიარებულია დაწესებულების პერსონალთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პროგრამის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმებით:

- ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“
- სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“

აღნიშნული კურიკულუმები გაზიარებულია დაწესებულების პერსონალთან, ოჯახთან და თემთან, რაც დასტურდება ინტერვიუს დროს. დაწესებულების მეთოდისტი, აღმზრდელები, მათი ასისტენტები, მუსიკის მასწავლებელი, სპეციალური მასწავლებელი, ასევე ბაგა-ბაღის ხელმძღვანელი გასაუბრებისას ადასტურებენ, რომ შერჩეული კურიკულუმები გაზიარებულია მათთან კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი ჯგუფის წევრების მიერ, ხოლო თავად გააზიარეს ოჯახთან და თემთან.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ერთ-ერთ ოქმში *(კურიკულუმის გაზიარების ოქმი ჯგუფის წევრებისათვის - ოქმი N3; 25.02.2025)* ვკითხულობთ, რომ კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელ ჯგუფს დაევალა კურიკულუმის გაზიარება სკოლამდელ დაწესებულებებში,

მაგრამ კურიკულუმის გაზიარების პროცესის ამსახველი ოქმი დაწესებულებამ ვერ წარმოაგინა, თუმცა მოგვეწოდა ფოტო მასალა, სადაც აღბეჭდილია ეს პროცესი.

მშობლებთან კურიკულუმის გაზიარების მტკიცებულებად დაწესებულებამ წარმოადგინა ოქმი (ოქმს არ აქვს ნომერი, მითითებულია თარიღი: 23.04.2025), რომლიდანაც ირკვევა, რომ კურიკულუმი გააზიარეს მშობლებთან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნულ ოქმში არ არის ერთმანეთისაგან გამიჯნული ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში" და სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში".

კურიკულუმის თემთან გაზიარების ამსახველი ოქმი ან/და სხვა დოკუმენტი დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

.........................................................................................................................................................................................................................................................................

......................................................................................................................................................................................................................

რჩევა

მიუხედავად იმისა, რომ კურიკულუმების პერსონალთან ასევე თემთან გაზიარების ფაქტი დადასტურებულია ინტერვიუებით, სასურველია აღნიშნული დადასტურებული იყოს შესაბამისი ოქმებით (ისე, როგორც პერსონალთან და ოჯახთან გაზიარების შემთხვევაში).

ასევე სასურველია გაიმიჯნოს კურიკულუმები ერთმანეთისაგან და მათი გაზიარების პროცესის შესახებ ინფორმაციის ასახვისას გამოიკვეთოს, რომ მოხდა როგორც ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში"-ს, ასევე სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში"-ს გაზიარება.

სასურველია დოკუმენტაციას ქონდეს მისი ყველა რეკვიზიტი (მაგალითად: ნომერი)

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.........................................................................................................................................................................................................................................................................

......................................................................................................................................................................................................................

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი"-ს დირექტორის 2025 წლის 18 ივლისის N ბ73. 24251994 ბრძანებით დამტკიცებული ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა

მართვის ცენტრი“-ს დაქვემდებარებაში არსებულ სკოლამდელ აღზრდის დაწესებულებებში კურუკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი;

2. ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს დირექტორის 2025 წლის 29 იანვრის N ბ73. 2425029001 ბრძანებით დამტკიცებული “კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესის შესამუშავებლად დაწყებული საქმიანობის ფორმირების მიზნით, ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრ”-ში სამუშაო ჯგუფი.
3. ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს დირექტორის 2025 წლის 17 ივლისის N ბ73. 24251983 ბრძანებით დამტკიცებული ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს დაქვემდებარებაში არსებულ სკოლამდელ აღზრდის დაწესებულებებში შერჩეული კურუკულუმი(ები);
4. ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტოს „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს დირექტორის 2025 წლის 17 ივლისის N ბ73. 2425198001 ბრძანებით დამტკიცებული ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს დაქვემდებარებაში არსებულ სკოლამდელ აღზრდის დაწესებულებებში საკომუნიკაციო გეგმების შედგენის წესი;
5. კურიკულუმის შესარჩევად სამუშო ჯგუფის შექმნა - ოქმი N2; 25.01.2025
6. კურიკულუმის შერჩევა - ოქმი N1; 04.02.2025
7. კურიკულუმის დირექტორთან წარდგენა - ოქმი N2; 12.02.2025
8. კურიკულუმის გაზიარების ოქმი ჯგუფის წევრებისათვის - ოქმი N3; 25.02.2025
9. კურიკულუმის გაზიარება მშობლებთან - 23.04.2025
10. ინტერვიუს შედეგები
11. ფოტომასალა

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **2.1. კურიკულუმის დაგეგმვა** | | | |
| შეესაბამება ☒ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 2.2. კურიკულუმის განხორციელება

### 2.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის პრაქტიკა

### 1. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულ პერიოდულობას და ხანგრძლივობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პროგრამის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმებით:

- ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში"
- სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში"

დაწესებულებამ წარმოადგინა *ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი"- ს დირექტორის 2025 წლის 18 ივლისის N ბ73. 24251993 ბრძანებით დამტკიცებული ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი"-ს დაქვემდებარებაში არსებულ სკოლამდელ აღზრდის დაწესებულებებში საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი"*, რომელის მიხედვითაც საგანმანათლებლო პროცესი იგეგმება გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმების გამოყენებით, გრძელვადიანი გეგმებიდან წარმოდგენლია წლიური გეგმები, მოკლევადიანი გეგმებიდან კი ყოველკვირეული და ინდივიდუალური გეგმები, რაც შეესაბამება შერჩეული კურიკულუმით განსაზღვრულ პერიოდულობას და ხანგრძლივობას.

საბავშვო ბაღში შემუშავებულია ასევე დღის განრიგი. დღის განრიგი უზრუნველყოფს ბავშვისთვის დროის იმგვარად განაწილებას, რომ გათვალისწინებული იყოს როგორც ინდივიდუალური თამაში, ასევე ჯგუფური აქტივობები, რუტინები, ტრანზიციები და დასვენება.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

..............................................................................................................................................................................................................................................................

rჩევა

...........................................................................................................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

...........................................................................................................................................................................................................................................................................................................................

## 2. კურიკულუმის შესაბამისი გეგმა/გეგმების შემუშავება თანამონაწილეობითი პროცესია და ხორციელდება ჯგუფის საგანმანათლებლო პერსონალის მიერ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი ***(ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“- ს დირექტორის 2025 წლის 18 ივლისის N ბ73. 24251993 ბრძანებით დამტკიცებული ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს დაქვემდებარებაში არსებულ სკოლამდელ აღზრდის დაწესებულებებში საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი.“)*** აღნიშნული წესის შესაბამისად, გრძელვადიანი გეგმა შეიქმნა მართვის ცენტრის დირექტორის ბრძანებით (***ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“- ს დირექტორის 2025 წლის 02 მაისი N ბ73. 2425122001 ბრძანებით დამტკიცებული ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს დაქვემდებარებაში არსებულ სკოლამდელ აღზრდის დაწესებულებებში საგანმანათლებლო პროცესის გრძელვადიანი გეგმის შექმნასთან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფები)*** შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ (თუმცა აღნიშნული ჯგუფის მუშაობის ამსახველი რაიმე მტკიცებულება - მაგალითად ოქმი ვერ წარმოადგინეს), მოკლევადიანი გეგმა იქმნება თითოეული ჯგუფის ყველა იმ საგანმანათებლო პერსონალის მიერ, რომელიც უშუალოდ მუშაობს ბავშვთან. გეგმების შედგენის პროცესში ჯგუფის საგანმანათლებლო პერსონალის ჩართულობა, ასევე გეგმებში არსებულ ინდივიდუალიზაციაში სპეციალური მასწავლებლისა და ფსიქოლოგის თანამონაწილეობა დასტურდება თავად გეგმებისა და ინტერვიუს საფუძველზე. დაწესებულების პერსონალი ინტერვიუში ადასტურებს მექანიზმში გაწერილი პროცედურების ცოდნას და პრაქტიკაში გამოყენების ვალდებულებას.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

სასურველია დაწესებულება აოქმებდეს სამუშაო შეხვედრებს და გადაწყვეტილებებს.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 3. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ჯგუფის საჭიროებებსა და ინტერესებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ვიზიტის დროს ბაღმა წარმოადგინა:

- დღის განრიგი
- აღმზრდელის პორტფოლიო
- აღმზრდელის ასისტენტის პორტფოლიო
- მუსიკის მასწავლებლის პორტფოლიო

შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ჯგუფის საჭიროებებსა და ინტერესებს, რაც ვლინდება შემდეგში:

- დღის განრიგში გათვალისწინებულია ჯგუფის საჭიროებები და ინტერესები. დაცულია ბალანსი აღმზრდელის მიერ ინიცირებულ და ბავშვის მიერ ინიცირებულ თამაშებს შორის, წყნარ და მოძრავ თამაშებს შორის, მცირე და დიდი ჯგუფის აქტივობებს შორის.
- აღმზრდელის პორტფოლიო მოიცავს გრძელ - და მოკლევადიან გეგმებს. გეგმებში თემატიკა შერჩეულია ისე, რომ შეესაბამება ბავშვების ბუნებრივ ცნობისმოყვარეობასა და ინტერესს. ყოველდღიური აქტივობები და მასალები ისე არის შერჩეული, რომ ხელს შეუწყობს თითოეული ბავშვის ჩართულობას - როგორც დამოუკიდებლად, ისე თანატოლებთან თანამშრომლობით და უზრუნველყოფს ბავშვის მრავალმხრივ განვითარებას. აღმზრდელის დოკუმენტაცია მოიცავს ასევე მშობლის კითხვარების ფორმებს, რაც ადასტურებს თანამშრომლობის მნიშვნელობის აღიარებას და მზაობას პარტნიორული პრაქტიკისთვის.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.............................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

.............................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.............................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................

## 4. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი *(ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტოს „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი"- ს დირექტორის 2025 წლის 18 ივლისის N ბ73. 24251993 ბრძანებით დამტკიცებული ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი"-ს დაქვემდებარებაში არსებულ სკოლამდელ აღზრდის დაწესებულებებში საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნვლეყოფის წესი.")*

აღნიშნულ წესის მე-8 მუხლის მეხუთე პუნქტით დაწესებულების მიერ შემუშავებული ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების სისტემა უზრუნველყოფს:

ა) ბავშვის ინტერესების გამოვლენას;

ბ) ბავშვის პროგრესის დანახვას განვითარების ყველა სფეროში;

გ) ოჯახის ჩართულობას ბავშვის შეფასების პროცესში.

ამავე მუხლის მეათე პუნქტის მიხედვით, ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების შედეგების ანალიზსა და გამოვლენილი საჭიროებებზე რეაგირება ხორციელდება:

ა) მოკლევადიანი გეგმების შედგენა/კორექტირების გზით;

ბ) გრძელვადიანი გეგმების შედგენა/კორექტირების გზით;

დ) საგანმანათლებლო რესურსების განსაზღვრის დროს;

ე) დაწესებულების სამოქმედო გეგმის შედგენის დროს.

მე-10 მუხლის მესამე პუნქტით განსაზღვრულია ბავშვების ინდივიდუალური პორტფოლიოების წარმოება, რომელიც მოიცავს შემდეგ ნაწილებს:

ა) ბავშვზე დაკვირვების ჩანაწერები;

ბ) ბავშვის შეფასების ჩანაწერები;

გ) ბავშვის ნამუშევრები. ბავშვის ნამუშევრის ფოტოები, ბავშვების ფოტოები სხვადასხვა თამაშისა და აქტივობის დროს;

მე-4 მუხლით განსაზღვრულია ინდივიდუალიზაციის ასპექტი, კერძოდ, ინდივიდუალიზაცია ვლინდება მოკლევადიან გეგმებში ინდივიდუალიზაციის გაწერით ასევე დაწესებულების გარეთ არსებულ სერვის პროვაიდერთან ადრეული ინტერვენციის ცენტრის, განვითარების ცენტრის და სხვა მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე ინდივიდუალური გეგმის შემუშავების გზით.

ინტერვიუს დროს საგანმანათლებლო პერსონალი ადასტურებს რომ ინდივიდულაზაცია საჭიროა უფრო მეტი ბავშვისთვის, მათი ინდივიდუალური ტემპისა და თავისებურებების გასათვალისწინებლად, რაც ასახული უნდა იყოს ბავშვის დაკვირვებისა და შეფასების ინსტრუმენტებში (აღნიშნული შეინახება ბავშვის პორთფოლიოში), ხოლო მისაღწევი სტრატეგიები კი გაიწერება მოკლევადიანი გეგმის ინდივიდუალიზაციის გრაფაში.

ინდივიდუალურ გეგმაში მოცემულია ბავშვის სწავლისა და განვითარების ინდივიდუალური მიზნები და მიზნების მიღწევის საშუალებები. დაწესებულებას ასევე დამტკიცებული აქვს ინდივიდუალური გეგმის ფორმა, რომლის შინაარსი ასახავს ბაღის აქტივობებში ბავშვის ჩართულობის ინდივიდუალურ საჭიროებებს და მისაღწევ მიზნებს.

საგანმანათლებლო პერსონალის ინფორმირებულობა ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის წარმოებასთან დაკავშირებით დასტურდება ინტევიუს საშუალებით.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 5. თამაში/თამაშის ელემენტები საგანმანათლებლო პროცესის, მათ შორის ტრანზიციის წარმართვის მირითადი ხერხია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი *(ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტოს „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“- ს დირექტორის 2025 წლის 18 ივლისის N ბ73. 24251993 ბრძანებით დამტკიცებული ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს დაქვემდებარებაში არსებულ სკოლამდელ აღზრდის დაწესებულებებში საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი.”).* აღნიშნული წესის (მე-3 მუხლის მეექვსე პუნქტი) მიხედვით, დაწესებულების მიერ შემუშავებული მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმების ფორმები მოიცავს შემდეგ ასპექტებს: თამაშზე ორიენტირებული პროცესი; სხვადასხვა ტიპის თამაშზე ორიენტირება, სხვადასხვა გარემოში (შიდა/გარე) საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის შესაძლებლობა; ბავშვის მიერ ინიცირებული აქტივობები.

დაწესებულების პერსონალი ინტერვიუში ადასტურებს საგანმანთლებლო პროცესში, ასევე ტრანზიციის წარმართვისას თამაშისა და თამაშის ელემენტების მნიშვნელობას. ტრანზიცია აღქმულია თამაშის გაგრძელებად და არა მკვეთრ გადართვად. საგანმანათლებლო პერსონალი გვიზიარებს, რომ დაგეგმლი აქვთ ღია კარის დღის მოწყობა, ბავშვების მიღება მშობლებთან ერთად, თამაშების შეთავაზება, სკოლაში ვიზიტი.

აღნიშნული დასტურდება ასევე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმითა *(ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს დირექტორის 2025 წლის 17 ივლისის N ბ73. 24251989 ბრძანებით დამტკიცებული*

*ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-სა და მის დაქვემდებარებაში შემავალი საბავშვო ბაღების სამოქმედო გეგმები)* და *საკომუნიკაციო გეგმებით* (*ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო*

*დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს დირექტორის 2025 წლის 18 ივლისის N ბ73. 2425199001 ბრძანებით დამტკიცებული სააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-სა და მის დაქვემდებარებაში შემავალი საბავშვო ბაღების საკომუნიკაციო გეგმები*).

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

..........................................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

..........................................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................................................................................................

### 6. დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს სხვადახვა ტიპის თამაშში ჩართვის საშუალება როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად როგორც შენობაში, ისე მის გარეთ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს სხვადასხვა ტიპის თამაშში ჩართვის საშუალება როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად როგორც შენობაში, ისე მის გარეთ, რაც ჩანს:

დღის განრიგში გაწერილი აქტიური და პასიური, მცირე და დიდი ჯგუფური აქტივობებისა და ტრანზიციების ბალანსით.

ასევე ყოველკვირეულ გეგმებში, კერძოდ, გეგმის ფორმა ორიენტირებულია სხვადასხვა ტიპის თამაშზე. სხვადასხვა გარემოში (შიდა/გარე) საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის შესაძლებლობა ვლინდება სხვადასხვა ცენტრებსა და სივრცეებში განაწილებული აქტივობებისათვის გამოყოფილ ველებში;

ბავშვის მიერ ინიცირებული აქტივობები აისახება საგანმანათლებლო პერსონალის რეფლექსიის ჩანაწერებისთვის გამოყოფილ ველში.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 2.2.2. დაწესებულების საგანმანათლებლო რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

### 1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმი დოკუმენტით: *ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“- ს დირექტორის 2025 წლის 18 ივლისის N ბ73. 24251993 ბრძანებით დამტკიცებული ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს დაქვემდებარებაში არსებულ სკოლამდელ აღზრდის დაწესებულებებში საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნვლეყოფის წესი.”*

მექანიზმში გაწერილი პროცესი უზრუნველყოფს რესურსების მიწოდებას შეუფერხებლად, რაც ვლინდება თავად მექანიზმში, სადაც აღწერილია თუ როგორ ხდება საჭიროებების იდენტიფიცირება (ჩანაწერი - „ეფუძნება მრავალფეროვნებისა და მრავალგვარობის კრიტერიუმებს“, „ბავშვის ჰოლისტრი განვითარებისათვის განსაზღვრულ სფეროებსა და თემატურ მიმართულებებს“); როგორ ხდება მათზე რეაგირება („მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების ნუსხის განსაზღვრა ხდება საგანმანათლელობ პერსონალის ჩართულობით და მტკიცდება ბრძანებით“); განსაზღვრულია, თუ რა პერიოდულობით ხდება რესურსების განახლება (საგანმანათლებლო რესურსების საჭიროებების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და დამუშავება ხორციელდება წელიწადში ორჯერ, პერიოდული ინვენტარიზაციის გზით).

დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფა საგანმანათლებლო პერსონალისა და ხელმძღვანელის განმარტებით, მოქმედებს მექანიზმის შესაბამისად. ინტერვიუში, აღმზრდელი აღნიშნავს, რომ წლის დასაწყისში სხვა საგანმანათლებლო პერსონალთან ერთად განსაზღვრავს მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების ნუსხას, აღნიშნულის შესახებ კი ინფორმაციას აწვდის ბაგა-ბაღის ხელმძღვანელს, რომელიც თავის მხრივ წარუდგენს ნუსხას დაწესებულების დირექტორს. თუმცა აღნიშნული ნუსხა და ნუსხის დამტკიცების შესახებ ბრძანება დაწესებუელბამ ვერ წარმოადგინა.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს შემდეგი: საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნვლეყოფის წესის თანახმად, დაწესებულებამ უნდა განსაზღვროს და დაამტკიცოს მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების ნუსხა ბრძანებით.

რჩევა

..............................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ შეუსაბამობასთან მიმართებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 3 თვის ვადით, განსაზღვრული აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის დაგეგმილი აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და საჭირო რესურსი. ექსპერტის შეფასება შეიცვალა მეტწილით.

## 2. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

დაწესებულებას განსაზღვრული კურიკულუმის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსის ჩამონათვალი, თუმცა არ აქვს განსაზღვრული რაოდენობა. ვერ მოვიკვლიეთ ჩანაწერი, თუ დაანგარიშების, როგორი სქემა არსებობს, კერძოდ რა რაოდენობის საგანმანათლებლო რესურსის შეძენაა გათვალისწინებული ერთ ბავშვზე (სათამაშო, საკანცელარიო მასალა). დაწესებულებამ წარმოადგინა მიღება-ჩაბარების აქტი (09.12.2024), რომლითაც დასტურდება, რომ ბაღს გადაეცა საბავშვო წიგნები, ასევე მიღება-ჩაბარების აქტი (07.02.2025) - საკანცელარიო მასალის გადაცემის შესახებ, თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტებით გათვალისწინებული რესურსი არ არის ბავშვთა იმ რაოდენობის შესაბამისი, რომელზეც დაწესებულება ითხოვს სტატუსს.

ვიზუალური დათვალიერბით დაწესებულებაში წარმოდგენილია მრავალფეროვანი ბუნებრივი და მეორადი მასალა.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს შემდეგი:

- დაწესებულებამ შექმნას საგანმანათლებლო რესურსების მინიმალური ნუსხა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, რომელიც ასახავს როგორც რესურსის სახეობებს, ასევე რაოდენობრივ მინიმუმს თითოეულ ბავშვზე. მნიშვნელოვანია არსებობდეს ფიქსირებული ფორმულა ან მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს, რა რესურსი სჭირდება ბაღს ბავშვთა რაოდენობის გათვალისწინებით (მაგალითად: 1 მაკრატელი 2 ბავშვზე და ა.შ.)
- აღნიშნული ნუსხა დამტკიცდეს ადმინისტრაციული აქტით (ბრძანება) და გახდეს დაწესებულების პრაქტიკის ნაწილი.

რჩევა

- სასურველია შეიქმნას დეტალური რესურსების რეესტრი, რომელიც მოიცავს მაგალითად: რესურსის სახეობას, რაოდენობას, განთავსების ლოკაციას; შეძენის თარიღსა და წყაროს და სხვა.
- მიუხედავად იმისა, რომ მშობელთა ჩართულობა და ბუნებრივი თუ მეორადი მასალების გამოყენება მნიშვნელოვანია, ის ვერ უნდა იყოს სისტემური რესურსის შევსების მექანიზმის ჩანაცვლება.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ შეუსაბამობასთან მიმართებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 3 თვის ვადით, განსაზღვრული აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის დაგეგმილი აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და საჭირო რესურსი. ექსპერტის შეფასება შეიცვალა მეტწილით.

### 2.2.3. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეების მოწყობა უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

1. ჯგუფური ოთახის და გარე სივრცის ფიზიკური გარემოს მოწყობა განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმები განსაზღვრავს ფიზიკური გარემოს მოწყობის სპეციფიკას შემდეგნაირად: ფიზიკური გარემო უნდა იყოს სხვადასხვა სათამაშო სივრცეებად დაყოფილი, მყუდროდ მოწყობილი ოთახი, ხის ფაქტურის ავეჯითა და ნეიტრალური ფერის კედლებით. ფიზიკური გარემო უნდა იყოს მოწყობილი ისე, რომ პასუხობდეს კურიკულუმის მიზნებს, ბავშვის განვითარების სტანდარტსა და პროგრამის ხარისხის სტანდარტს, აღძრავდეს ბავშვებში ცნობისმოყვარეობას, წაახალისოს კვლევა, კითხვების დასმა, შემოქმედებითობა, ემოციური და სოციალური უნარების განვითარება.

სივრცე უნდა იყოს მორგებული ბავშვთა ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებებზე, უზრუნველყოფდეს თავისუფალ, ინიციატივაზე დაფუძნებულ თამაშსა და მრავალფეროვან აქტივობებში მონაწილეობას როგორც ინდივიდუალურად, ისე მცირე ჯგუფებში.

კურიკულუმი ასევე ითვალისწინებს ოთახის ფიზიკურ მახასიათებლებს - განათება, სივრცის ზომა, უსაფრთხოება.

დაწესებულებაში არსებული ჯგუფური ოთახების ფიზიკური სივრცის მოწყობა შემდეგნაირია: ოთახი არის მყუდრო და ნათელი, კედლები ჯგუფებში არ არის ნეიტრალური ფერის (არის მწვანე, ლურჯი, ვარდისფერი, ცისფერი, ყვითელი, იასამნისფერი). ცენტრები მკვეთრად არის გამიჯნული ერთმანეთისაგან, თითოეულ მათგანს აქვს მითითება. დღის განრიგი, და სხვა მასალა ბავშვის სიმაღლეზეა. სივრცე აღჭურვილია მრავალფეროვანი და მრავალგვარი რესურსით, მათ შორის ბუნებრივი და მეორადი მასალით. ავეჯი არის ბავშვის სიმაღლის, მაგრამ არ არის ხის ფაქტურის (ფერები: მწვანე, ნარინჯისფერი, ცისფერი, წითელი).

დაწესებულების გარე სივრცის/ეზოს მოწყობა კურიკულუმის შესაბამისია, რაც ვლინდება შემდეგში: ეზო დაყოფილია ფუნქციურ სივრცეებად: გამოყოფილია ადგილები მოძრავი თამაშებისათვის, აქვთ სივრცე მხიარული სტარტებისათვის, ბურთის თამაშისათვის, საქვიშე, სენსორული ბილიკი, სასრიალო, საძრომიალო, საჩრდილობელი, ტალახის სამზარეულო.

ბაღის შემონაში არის დარბაზი, სადაც ძლიერი უამინდობის შემთვევაში ბავშვებს აქვთ შესაძლბელობა დახარჯონ ენერგია: დარბაზში არის სპორტული ინვენტარი, თავისუფლად სარბენი სივრცე, ასევე მუსიკალური ინსტრუმენტები.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს შემდეგი: დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმის შესაბამისად, საბავშვოს ბაღში ავეჯი უნდა იყოს ხის ფაქტუურის, ხოლო ჯგუფის კედლები, აქსესუარები (ფარდები, ხალიჩა), – ნეიტრალური ფერის.

რჩევა

.............................................................................................................................................................................................................................................................

.........................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ შეუსაბამობასთან მიმართებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 12 თვის ვადით, განსაზღვრული აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის დაგეგმილი აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და საჭირო რესურსი. ექსპერტის შეფასება შეიცვალა მეტწილით.

## 2. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეში საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზება განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია და ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი განსაზღვრავს საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზების სპეციფიკას შემდეგნაირად: კურიკულუმი ასახავს ბავშვის ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე მორგებული საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზების პრინციპებს, რაც

მოიცავს მრავალფეროვანი და მრავლგვარი რესურსების გამოყენებას, გარემოს შემოქმედებით მოწყობას და ბავშვზე ორიენტირებულ აქტივობათა დაგეგმვას.

დაწესებულების ჯგუფურ ოთახებში, არსებული საგანმანათლებლო რესურსი ორგანიზებულია შემდეგნაირად: ჯგუფური ოთახები აღჭურვილია მრავალფეროვანი და მრავალგვარი მზა და მეორადი რესურსით, რომლებიც თემატურად არის ცენტრებში განაწილებული. რესურსი განლაგებულია ღიად და ბავშვების სიმაღლეზე,

დაწესებულების გარე სივრცეში/ეზოში არსებული საგანმანათლებლო რესურსი კურიკულუმის შესაბამისია, რაც ვლინდება შემდეგში: ეზო აღჭურვილია ისეთი რესურსით, რომელიც ხელს უწყობს სენსომოტორული უნარების განვითარებას, თავისუფალ და ერთდროულად უსაფრთხო მოძრაობას, ჯგუფურ კომუნიკაციას და შემოქმედებით თამაშს. წარმოდგენილია: ბალანსისა და კოორდინაციისთვის განკუთვნილი საშუალებები, ადგილი ბურთის თამაშისათვის, საქანელები. ეზოში არსებული ყველა რესურსი ხელმისაწვდომია ბავშვებისთვის და განლაგებულია ისე, რომ მათ შეუძლიათ დამოუკიდებლად ჩაერთონ სხვადასხვა ტიპის აქტივობაში.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.............................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

.............................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.............................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................

**3. ჯგუფური ოთახები მოწყობილია იმგვარად რომ ბავშვს აქვს აქტიურ და პასიურ, მცირე და დიდ ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობის, ასევე დასვენებისა და განმარტოების შესაძლებლობა**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების ჯგუფური ოთახები მოწყობილია აქტიური და პასიური თამაშებისთვის, კონკრეტულად ეს ვლინდება შემდეგში: ჯგუფი აღჭურვილია მრავალფეროვანი და მრავალგვარი მზა და ბუნებრივი რესურსით. გარემოში წარმოდგენილია სივრცეები, კერძოდ მყუდრო ადგილი დასაგებით, ბალიშებითა და ფარდით, სადაც ბავშვებს განმარტოვების საშუალება აქვთ.

სივრცე იძლევა შესაძლებლობას დიდი ჯგუფური აქტივობებისთვის.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 2.2.4. დაწესებულებაში მოქმედებს ბავშვზე დაკვირვების და შეფასების პრაქტიკა

### 1. საგანმანათლებლო პერსონალი თანმიმდევრულად იყენებს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებუელბამ წარმოადგინა *ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“- ს დირექტორის 2025 წლის 18 ივლისის N ბ73. 24251993 ბრძანებით დამტკიცებული ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს დაქვემდებარებაში არსებულ სკოლამდელ აღზრდის დაწესებულებებში საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი.”*

აღნისნული წესის მე-8 მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით, დაწესებულება იყენებს დაკვირვებისა და შეფასების შემდეგ მეთოდებს: ობიექტური დაკვირვების ჩანაწერები; მოკლე კითხვარები; ცხრილები ან სხვა შეფასების ინსტრუმენტები. აღნიშნული არ ეწინააღმდეგება კურიკულუმით განსაზღვრულს.

- საკვალიფიკაციო მოთხოვნები შესაძლოა ინტეგრირდეს სამუშო აღწერილობაში ან პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში, ან დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდეს სხვა ფორმით.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ შეუსაბამობასთან მიმართებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 12 თვის ვადით, განსაზღვრული აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის დაგეგმილი აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და საჭირო რესურსი. ექსპერტის შეფასება შეიცვალა მეტწილით.

## 4. ბავშვთან მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალს აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში დაცული უნდა იყოს ბავშვების ფიზიკური უსაფრთხოება. ამისათვის ბავშვებთან უშუალო შეხებაში მყოფ პერსონალს უნდა ჰქონდეს შესაბამისი ცოდნა და უნარები, რათა უზრუნველყოს ნებისმიერ სიტუაციაში შესაბამისი რეაგირება და მოქმედება. უშუალოდ ბავშვთან მომუშავე პერსონალში შედიან: აღმზრდელები და აღმზრდელის ასისტენტები, აქედან გამომდინარე, მათ უნდა ჰქონდეთ შესაბამისი დოკუმენტით (მაგ.: სერტიფიკატი, დიპლომის დანართი და სხვ.) დადასტურებული პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია.

თვითშეფასებაში წარმოდგენილი ინფორმაცია მიუთითებს, რომ ქალაქ ზუგდიდის N1 საბავშვო ბაღის საგანმანათლებლო პერსონალის ნაწილი არის გადამზადებული პირველადი და გადაუდებელი დახმარების კომპეტენციაში, ინტერვიუთაც დასტურდება, რომ ყველა საგანმანათლებლო პერსონალი ამ მომენტისათვის გადამზადებული არ არის შესაბამისად არც მტკიცებულებები არსებობს პირად საქმეში.

ინტერვიუსას დაწესებულებამ აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პერსონალისთვის 2025 წლის სექტემბრის ბოლოდან დაგეგმილია პირველადი და გადაუდებელი დახმარების ტრენინგი, რაც უზრუნველყოფს იმ აუცილებელი მინიმუმის შესრულებას, რომ ბავშვებთან

მომუშავე ჯგუფს გააჩნდეს შესაბამისი კომპეტენცია. ეს ფაქტი მიუთითებს, რომ ბაღში არსებობს უსაფრთხოების პრიორიტეტული მიდგომა და ნაბიჯები გადადგმულია პერსონალის საჭირო ცოდნით აღჭურვის მიმართულებით.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

- აუცილებელია ყველა ბავშვთან მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალი გადამზადდეს;

რჩევა

- კარგი იქნება პერიოდულად (მაგ., ყოველ 2 წელიწადში ერთხელ) ჩატარდეს ცოდნის განახლების ტრენინგები, რათა უნარები იყოს აქტუალური და პრაქტიკულად გამოყენებადი.
- კარგი იქნება თანამშრომლობა ადგილობრივ ჯანდაცვის სერვისებთან ან წითელ ჯვართან, რათა ტრენინგები ჩატარდეს პროფესიონალების მიერ და ჰქონდეს სერტიფიცირების მექანიზმი.
- სასურველია საგანმანათლებლო პერსონალის პოზიციაზე გამოცხადებულ ვაკანსიაში, საკვალიფიკაციო მოთხოვნების ნაწილში, წინასწარ იყოს განსაზღვრული პირველადი გადაუდებელი დამხარების აღმოჩენის კომპეტენციის არსებობა. სხვა შემთხვევაში კარგი იქნება დაწესებულებამ კადრის აყვანისთანავე, უმოკლეს ვადაში უზრუნველყოს მისი გადამზადება.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ შეუსაბამობასთან მიმართებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 12 თვის ვადით, განსაზღვრული აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის დაგეგმილი აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და საჭირო რესურსი. ექსპერტის შეფასება შეიცვალა მეტწილით.

### 4.1.2. დაწესებულებაში მოქმედებს პერსონალის მართვის მექანიზმი

1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი წესების, მათ შორის, შინაგანაწესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

წარმოდგენილი ინფორმაცია ადასტურებს, რომ დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების შიდა დოკუმენტებით განსაზღვრული წესების შესაბამისად. წარმოდგენილია პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი (*„ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრ"-სა და მის დაქვემდებარებაში არსებულ სკოლამდელ აღზრდის დაწესებულებებში პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის დამტკიცების თაობაზე" (ბრძანება: ბ73. 24251982, თარიღი: 17/07/2025)* და შინაგანაწესი *(ა.ა.ი.პ- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრის" 2022 წლის 12 ოქტომბრის N ბ73.2422285001 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. ბრძანება: ბ73. 2425161001 თარიღი:10/06/2025)*

- ნორმატიული ჩარჩო:
    - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრის მიერ დამტკიცებულია პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც ადგენს მართვის ზოგად წესებსა და პროცესებს. პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი შესაბამისია კანონმდებლობის მოთხოვნებთან.
    - დაწესებულებაში მოქმედებს შინაგანაწესი, რომელიც არეგულირებს პერსონალის ქცევის, დისციპლინის, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების წესს;
- ფუნქციური მნიშვნელობა: აღნიშნული დოკუმენტების არსებობა და გამოყენება უზრუნველყოფს სამართლებრივად გამყარებულ და სტრუქტურირებულ მართვის პროცესებს, აყალიბებს გამჭვირვალე და თანმიმდევრულ სამუშაო გარემოს, რაც აუცილებელია როგორც ორგანიზაციის ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის, ასევე ბავშვთა საუკეთესო ინტერესების დაცვისთვის.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.......................................................................................................................................................................................................
.......................................................................................................................................................................................................

რჩევა

.......................................................................................................................................................................................................
.......................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.......................................................................................................................................................................................................
.......................................................................................................................................................................................................

## 2. აღმზრდელ პედაგოგთან/აღმზრდელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს სამუშაო დროის განმავლობაში ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებს და მათ ფარგლებში განსახორციელებელ საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის 21-ე მუხლის „შრომითი ურთიერთობის მომწესრიგებელი დოკუმენტები“ (*„ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრ“-სა და მის დაქვემდებარებაში არსებულ სკოლამდელ აღზრდის დაწესებულებებში პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის დამტკიცების თაობაზე“ (ბრძანება: ბ73. 24251982, თარიღი: 17/07/2025).)* მესამე პუნქტში ვკითხულობთ რომ: „აღზმრდელთან/აღმზრდელ-პედაგოგთან დადებული შრომითი ხელშეკრულება ასევე მოიცავს ანაზღაურებადი არასაკონტაქტო საათების შესახებ ჩანაწერს და მის ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობების ჩამონათვალს“

საგანმანათლებლო პერსონალის ხელშეკრულებების ნაწილში მკაფიოდაა განსაზღვრული სამუშაო დროის განაწილება საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებად, ასევე დადგენილია მათ ფარგლებში შესასრულებელი საქმიანობები, თუმცა ყველა აღმზრდელს არ აქვს ხელშეკრულებით განსაზღვრული არასაკონტაქტო საათი.

**ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დამაკმაყოფილებელი.**

რეკომენდაცია

- აუცილებელია ყველა საგანმანათლებლო პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებაში შესაბამისი ცვლილებები სრულად იყოს ასახული, რათა იყოს შესაბამისობაში ერთიან სტანდარტთან.

რჩევა

.................................................................................................................................................................................................................
.................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ შეუსაბამობასთან მიმართებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 2 თვის ვადით, განსაზღვრული აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის დაგეგმილი აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და საჭირო რესურსი. ექსპერტის შეფასება შეიცვალა მეტწილით.

### 3. პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

პერსონალის მართვის პროცესი იწყება ადამიანური რესურსების დაგეგმვით. დაწესებულება წარმოდგენილი ინფორმაცია ასახავს, რომ დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცედურები პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტით - *„ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრ"-სა და მის დაქვემდებარებაში არსებულ სკოლამდელ აღზრდის დაწესებულებებში პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის დამტკიცების თაობაზე" (ბრძანება: ბ73. 24251982, თარიღი: 17/07/2025).* თავი III. ორგანიზაციაში შემოსვლის პროცესი

- **მექანიზმში გაწერილი პროცესი:**
  - პერსონალის შერჩევა ხორციელდება ორი გზით - პირდაპირი დანიშვნით ან კონკურსის საფუძველზე (ღია ან დახურული).
  - ღია კონკურსი იძლევა ნებისმიერ დაინტერესებულ პირს მონაწილეობისა და თანაბარ პირობებში კონკურენციის შესაძლებლობას, რაც გამჭვირვალობის პრინციპის დაცვას უწყობს ხელს.
  - დახურული კონკურსის შემთხვევაში შერჩევა ეფუძნება ვაკანტური პოზიციის სამუშაო აღწერილობას.
  - კონკურსის ორგანიზებას უზრუნველყოფს მართვის ცენტრის დირექტორის მიერ შექმნილი შერჩევის კომისია, რაც კოლეგიალური გადაწყვეტილების მიღებას უწყობს ხელს.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.............................................................................................................................................................................................................................

.............................................................................................................................................................................................................................

რჩევა

მიუხედავად იმისა, რომ პროცედურები ფორმალურად უზრუნველყოფს გამჭვირვალობას, სრული სურათის დასადასტურებლად კარგი იქნება მომავალში იყოს შესაბამისი მტკიცებულებები - მაგალითად:

- კონკურსის გამოცხადების საჯარო განცხადებები (ვებგვერდზე ან სხვა არხებით);
- კონკურსის კომისიის ოქმები;
- შერჩევის შედეგების პროტოკოლები;
- დანიშვნის ბრძანებები.

ამგვარი დოკუმენტების წარდგენა გაამყარებდა დასკვნას, რომ პროცესი არა მხოლოდ წესითაა გამჭვირვალე, არამედ პრაქტიკულადაც სრულად ასახავს ობიექტურობის პრინციპს.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..................................................................................................................................................................................................................................................

..................................................................................................................................................................................................................................................

## 4. დაწესებულება უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ახალი თანამშრომლის ინტეგრაციის საკითხი განხილულია პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის მე-18-ე მუხლით *„ახალი თანამშრომლის ინტეგრაცია“* წარმოდგენილი ინფორმაცია ადასტურებს, რომ დაწესებულებაში არსებობს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციის/ადაპტაციის ძირითადი მექანიზმები, რომლებიც მიმართულია სამუშაო გარემოსთან სწრაფი და ეფექტიანი ჩართვის ხელშეწყობაზე.

- ინტეგრაციის პროცესის ძირითადი მიმართულებები:
  - ახალი თანამშრომელი სისტემურად ეცნობა დაწესებულების მისიას, ღირებულებებს, ისტორიას და სტრუქტურას, რაც უზრუნველყოფს ორგანიზაციული კულტურის ადრეულ აღქმას.
  - უზრუნველყოფილია გუნდის წევრებთან, ხელმძღვანელებთან და კოლეგებთან გაცნობა, რაც ამცირებს ადაპტაციის სტრესს და აძლიერებს თანამშრომლობის გარემოს.
  - ხელმისაწვდომია საჭირო რესურსები, ინფრასტრუქტურა და პროგრამული უზრუნველყოფა, რაც სამუშაო პროცესში ჩართვის ტექნიკურ მხარეს ამარტივებს.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.......................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

.......................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.......................................................................................................................................................................................................................................

## 5. დაწესებულებაში მოქმედი ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

წარმოდგენილი ინფორმაცია ასახავს, რომ დაწესებულებაში ორგანიზაციული კულტურა დაფუძნებულია თანამშრომლობისა და გუნდური მუშაობის პრინციპებზე.

- დადასტურებული მახასიათებლები:
  - საგანმანათლებლო პერსონალი ახორციელებს მჭიდრო თანამშრომლობას დამწყებ კოლეგებთან, მოხალისეებთან და პრაქტიკანტებთან;
  - თანამშრომლობა მოიცავს პროფესიული რეკომენდაციების გაცვლას და ცოდნის გაზიარებას, რაც ორმხრივ განვითარებას უწყობს ხელს;
  - ურთიერთობებში დაცულია ეთიკური და სამართლებრივი ნორმები, კონფიდენციალურობის პრინციპი და ურთიერთპატივისცემის სტანდარტი.
  - ინტერვიუსას აღწერილი პრაქტიკები ქმნის ისეთ სამუშაო გარემოს, სადაც თანამშრომლობა და გუნდურობა არა მხოლოდ ფორმალური მოთხოვნაა, არამედ პროფესიული განვითარების და გამოცდილების გაზიარების რეალური მექანიზმი.
  - ეს კულტურა ხელს უწყობს როგორც დამწყები თანამშრომლების ადაპტაციასა და მხარდაჭერას, ასევე გამოცდილი კადრების გაუმჯობესებასა და განვითარებას.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.......................................................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

.......................................................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.......................................................................................................................................................................................................................................................................

## 4.1.3. დაწესებულება ზრუნავს პერსონალის უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე

### 1. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განვითარების მიზნით პერსონალის საქმიანობის შეფასებას და საჭიროებათა მოკვლევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

მოწოდებული პასუხისა და პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის (თავი IV. შესრულებული სამუშაოს მართვა) ***(ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრ"-სა და მის დაქვემდებარებაში არსებულ სკოლამდელ აღზრდის დაწესებულებებში პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის დამტკიცების თაობაზე ბრძანება: ჯ73. 24251982, თარიღი: 17/07/2025)*** ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ დაწესებულებას გაწერილი აქვს პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და საჭიროებათა მოკვლევის პროცედურები. დოკუმენტი ითვალისწინებს როგორც შესრულებული სამუშაოს ანალიზს, ასევე ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენას, რაც სრულ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან. კერძოდ:

- პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში გაწერილია პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და საჭიროებათა მოკვლევის წესის მე-19 მუხლში „მუხლი 19. შესრულებული სამუშაოს შეფასება".
- ეს ქმნის საფუძველს მტკიცებულებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებისთვის, რადგან შეფასების მექანიზმი იძლევა ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირების შესაძლებლობას.
- პერსონალის საქმიანობის შეფასება და საჭიროებათა მოკვლევა გამოყენებულია მათი პროფესიული განვითარებისთვის რაც დასტურდება იმავე წესით. თუმცა დოკუმენტაციისა და ინტერვიუს მიხედვით, აღნიშნული პროცესი ამ ეტაპზე ჯერ არ განხორციელებულა პრაქტიკაში, რის გამოც შედეგები (მაგ., რეალური საჭიროებების ანალიზი, პერსონალის განვითარების გეგმების ფორმირება) არ არის წარმოდგენილი.

- მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკული შეფასება ჯერ არ განხორციელებულა (დამტკიცებული მეთოდოლოგიის მიხედვით პრაქტიკაში განხორციელების ვადები ჯერ არ დამდგარა), არსებული მექანიზმი სრულად ამზადებს საფუძველს მომავალი მოქმედებებისთვის.

როგორც ზემოთ ავღნიშნე არსებობს მკაფიოდ გაწერილი წესი და პროცედურა, მაგრამ არ განხორციელებულა მისი პრაქტიკული დანერგვა. ამ ეტაპზე ინდიკატორი შესრულებულია დოკუმენტური უზრუნველყოფის დონეზე, რაც მოცემული მდგომარეობით საკმარისია.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

როდესაც დაწესებულება დაიწყებს პრაქტიკის განხორციელებას:

- შეფასების მექანიზმი გააქტიურდეს პირველივე სამუშაო წლის განმავლობაში;
- მნიშვნელოვანია შეფასების პროცესის სისტემურობა და რეგულარობა (მაგ., ყოველწლიურად). პირველ ეტაპზე დაინერგოს პილოტური შეფასების პროცესი მცირე ჯგუფზე, რათა გამოიცადოს დადგენილი წესი.
- ჩამოყალიბდეს პერსონალის შეფასების სტანდარტული ფორმა (ინდიკატორებით, კრიტერიუმებით, თვითშეფასებისა და კოლეგიური შეფასების კომპონენტებით).
- საჭიროებათა მოკვლევის შედეგები პირდაპირ უკავშირდებოდეს ტრენინგ-გეგმას და პერსონალის განვითარების სტრატეგიას.
- შეფასების პროცესი დოკუმენტირდეს (ანგარიშები, ოქმები, ცვლილებების გატარება), რათა არსებობდეს მტკიცებულებათა ბაზა.
- შედეგები უნდა იქცეს პერსონალის განვითარების ინდივიდუალური და საერთო გეგმების შემუშავების საფუძვლად,

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 2. პერსონალის განვითარება ხორციელდება დაწესებულების მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

პერსონალის შეფასებისა და საჭიროებათა მოკვლევის ანალიზის შემდეგ, დაწესებულებას შემუშავებული აქვს პერსონალის განვითარების გეგმა. აღნიშნული გეგმა ინტეგრირებულია ერთწლიან სამოქმედო გეგმაში და პროფესიული განვითარების გეგმა უზრუნველყოფილია შესაბამისი ბიუჯეტით.

მოცემული პასუხისა და დოკუმენტური ბაზის ანალიზის საფუძველზე ჩანს, რომ დაწესებულება დეკლარირებს პერსონალის პროფესიული განვითარების პროცესს, რომელიც ემყარება საჭიროებების გამოვლენას და შემდგომ გეგმების შედგენას. გათვალისწინებულია ინდიკატორის მოთხოვნა და ჩამოყალიბებულია შესაბამისი მექანიზმი:

- პერსონალის მიზნობრივი პროფესიული განვითარების დაგეგმვა ეფუძნება საჭიროებების იდენტიფიცირებას, რაც აღწერილია პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში.
- მართვის ცენტრი თანამშრომლებს სთავაზობს პროფესიული განვითარების მრავალფეროვან შესაძლებლობებს: როგორც დაწესებულების ბაზაზე, ასევე გარე ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებული სერვისებით. დაწესებულებამ წარმოადგინა რამდენიმე მემორანდუმი ორგანიზაციებთან, რომლებთანაც თანამშრომლობენ.
- პერსონალს უკვე უტარდება ტრენინგები, რაც პრაქტიკული რეალიზაციის მაგალითია.
- დადგენილი საჭიროებების საფუძველზე დაწესებულება გეგმავს განსაკუთრებული მიმართულებების გაძლიერებას, რათა პერსონალის გადამზადება სისტემური და მიზნობრივი გახდეს.

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრის 2024 წლის სამიქნობის ანგარიში სადაც გაწერილია, რომ პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნითეტაპობრივად მიმდინარეობს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების თანამშრომელთა გადამზადება „აღმზრდელ პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდული“-ს მიხედვით გადამზადდა 150 აღმზრდელი და საბავშვო ბაღის გამგეები. აღნიშნული ტრენინგ-მოდულით დაგეგმილია, ეტაპობრივად ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების საგანმანათლებლო პერსონალის სრულად გადამზადება.

ინდიკატორის მოთხოვნა შესრულებულია დოკუმენტური და პროცედურულ დონეზე, რადგან ჩამოყალიბებულია საჭიროებების დადგენის მექანიზმი და განსაზღვრულია პერსონალის განვითარების მრავალფეროვანი გზები.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

- სასურველია დაწესებულებამ აწარმოოს საკუთარი პერსონალის განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობის სტატისტიკა და უზრუნველყოს პერსონალის პროფესიული განვითარების განხორციელებული აქტივობების ამსახველი დოკუმენტების/მასალების არსებობა.
- კარგი იქნება თუ შედგება საჭიროებების მოკვლევის შედეგების საფუძველზე ინდივიდუალური განვითარების გეგმები;
- კარგი იქნება პერსონალის პროფესიული განვითარების პროცესის გრძელვადიანი ჩარჩოს ჩამოყალიბება (მაგ., 3-წლიანი პროგრამა);
- სასურველია შედეგების დოკუმენტურად დაფიქსირება ანგარიშებში - ეს გაზრდის გამჭვირვალობას და ხარისხის კონტროლის შესაძლებლობას.
- პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ჩაიდოს თანამშრომლის პირად საქმეში.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 3. დაწესებულება ხელს უწყობს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

პერსონალის საჭიროებათა მოკვლევის და დაწესებულები მხრიდან დაგეგმილი ტრენინგების გარდა აუცილებელია გათვალისიწნებული იყოს თავად თანამშრომლის ინიციატივები და სურვილებიც, რომელიც აუცილებლად თანხვედრაში უნდა იყოს სამუშაო აღწერილობასთან და ფუნქცია-მოვალეებებთან. მოწოდებული პასუხისა და დოკუმენტური ბაზის ანალიზიდან ჩანს, რომ დაწესებულებას აქვს ჩამოყალიბებული მექანიზმები, რომლებიც ხელს უწყობს როგორც პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის საჭირო ინიციატივების წამოყენებას, ასევე ინიციატივების წახალისებას. პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების მხარდაჭერა გათვალისწინებულია როგორც ფორმალურად, ისე პრაქტიკულად:

- ინიციატივების გამოვლენა შესაძლებელია როგორც საჭიროებების კვლევის შედეგად, ისე უშუალოდ თანამშრომლებისგან ზეპირად ან წერილობით. ეს ქმნის ღია და მოქნილ კომუნიკაციას, სადაც პერსონალს შეუძლია თავისუფლად წარმოადგინოს საკუთარი იდეები.
- მართვის ცენტრი თანამშრომლების ინიციატივებსა და მიღწევებს წახალისების სხვადასხვა ფორმით აფასებს:

- დანამატი;
- მადლობის გამოცხადება (მათ შორის წერილობითი, რომელიც პირად საქმეში განთავსდება);
- დისციპლინარული სახდელის ვადაზე ადრე მოხსნა.

- ასევე გათვალისწინებულია, რომ ერთდროულად შეიძლება გამოყენებულ იქნას რამდენიმე წამახალისებელი ფორმა, რაც ზრდის მოტივაციას და ინიციატივების წარდგენის სურვილს.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

...................................................................................................................................................................................................................

...................................................................................................................................................................................................................

რჩევა

- შესაძლებელია წინასწარ იყოს განსაზღვრული თანამშრომელთა გადასამზადებლად მიზანშეწონილი ტრენინგების ნუსხა, მაგალითად: მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე სავალდებულო ტრენინგები შესაძლებელია იყო: „აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდული“; გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაწევა; სახანძრო უსაფრთხოების წესები (N370 დადგენილება); ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციის საკითხები ( N437 დადგენილება) და სხვ.
- ინიციატივების წახალისების ფოკუსის გაფართოება - კარგი იქნება თუ წახალისების მექანიზმები არ შემოიფარგლოს მხოლოდ სანიმუშო შესრულებით. საინტერესო იქნება ყურადღება დაეთმოს *ინოვაციური საგანმანათლებლო იდეებისა და პროექტების ინიცირებასა და განხორციელებას* (მაგ., ახალი მეთოდების გამოცდა, თემატური პროექტების წამოწყება).
- ინიციატივების გაზიარების სისტემური პლატფორმა - სასურველია დაწესდეს *რეგულარული შეხვედრები ან სემინარები*, სადაც პერსონალს ექნება შესაძლებლობა გაზიაროს ახალი იდეები, განიხილოს გამოწვევები და ერთობლივად მოძებნოს ინოვაციური გადაწყვეტები. შესაძლებელია *ინოვაციების მცირე კონკურსის* ორგანიზებაც, რომელიც კიდევ უფრო გაზრდის მოტივაციას.
- გუნდური წახალისების მექანიზმები – კარგი იქნება თუ დაწესებულება დამატებით შემოიღებს *გუნდური წახალისების ფორმები* (მაგ., პროექტის ჯგუფის დაჯილდოება, ერთობლივი ინიციატივის აღნიშვნა), რადგან ეს ხელს შეუწყობს თანამშრომლობას, კოლეგიალურ კულტურას და გუნდურ სულისკვეთებას.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

...................................................................................................................................................................................................................

...................................................................................................................................................................................................................

**დასტურდება (მტკიცებულებები):**
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს დირექტორის 2025 წლის 17 ივლისის N ბ73.24251982 ბრძანება ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრ“-სა და მის დაქვემდებარებაში არსებულ სკოლამდელ აღზრდის დაწესებულებებში პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის დამტკიცების თაობაზე.
2. ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს დირექტორის 2025 წლის 10 ივნისის N ბ73. 2425161001 ბრძანება ა.ა.ი.პ- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრის“ 2022 წლის 12 ოქტომბრის N ბ73.2422285001 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ა.ა.ი.პ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“ს დაქვემდებარებაში არსებული ს/ბაღების შინაგანაწესი (2025 წლის რედაქცია).
3. ორგანოგრამა;
4. ინტერვიუს შედეგები;
5. საგანმანათლებლო პერსონალის შრომითი ხელშეკრულებები;

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.1. პერსონალის მართვა და განვითარება** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 4.2. პროცესების მართვა

### 4.2.1. დაწესებულების საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას

#### 1. დაწესებულებას იდენტიფიცირებული და აღწერილი აქვს მმართველობითი, ძირითადი და დამხარე პროცესები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების საქმინობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას. პროცესული მიდგომა გულისხმობს დაწესებულების ისეთ ფუნქციონირებას, როდესაც ის ახდენს მის მიერ განსახორციელებელი საქმინობების ანუ პროცესების იდენტიფიცირებას და აღწეეს თითოეულ მათგანს, კერძოდ განსაზღვრავს კონკრეტულ ნაბიჯებს, ეტაპებსა და ქმედებებს, რომელბიც უნდა შესრულდეს თანმიმდევრულად, რათა აღნიშნული საქმიანობა (პროცესი) განხორციელდეს. პროცესული მიდგომის განხრორციელებისათვის დაწესებლებას გაკეთებული აქვს პროცესების იდენტიფიცირება და აღწერა. ის დაყოფილია სამ ძირითად ჯგუფად - მმართველობითი, ძირითადი და დახმხმარე პროცესები. **მმართველობით პროცესში** გაერთიანებულია სტრატეგიული დაგეგმვისა და ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები, **ძირითადი პროცესებია**: კურიკულუმის შერჩევა/შემუშავება, განხორციელება, შეფასება და განვითარება; საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა და განხორციელება; ბავშვების რაოდენობის მართვა (რეგისტრაცია, ჩარიცხვა, ამორიცხვა); სსსმ ბავშვების მომსახურება; ოჯახთან და თემთან ურთიერთობა. **დამხმარე პროცესებია**: ადამიანური და მატერიალური რესურსების მართვა; საქმისწარმოება; პერსონალისა და ბავშვების ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოების დაცვა; ფინანსური რესურსების მართვა; სანიტარულ-ჰიგიენური პროცესების მართვა; ბავშვთა კვების უზრუნველყოფის პროცესის მართვა. თოთოეული პროცესი დაწესებულებას აღწერილი აქვს ***პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტში. - ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრ“-სა და მის დაქვემდებარებაში არსებულ სკოლამდელ აღზრდის დაწესებულებებში პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ ბრძანება: ბ73. 2425202001 თარიღი: თარიღი:21/07/2025.***

**ამგვარად, ინდიკატორის მოთხოვნა დამაკმაყოფილებელია.**

რეკომენდაცია

........................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................

რჩევა

- პერიოდული გადახედვა და განახლება (მაგ., წელიწადში ერთხელ), რათა პროცესები მუდმივად შეესაბამებოდეს პრაქტიკულ საჭიროებებს და ახალი რეგულაციების მოთხოვნებს.
- შემუშავდეს პროცესების დეტალური აღწერები ინდიკატორებითა და ქვე-აქტივობებით.
- მომზადდეს პროცესების რუკა/სქემა, რომელიც ვიზუალურად წარმოაჩენს პროცესებს შორის კავშირს, რათა პერსონალმა მარტივად დაინახოს მათ შორის კავშირები;

- გაძლიერდეს მტკიცებულებათა ბაზა – შეხვედრების ოქმები, შიდა აუდიტის ანგარიშები, განხორციელებული ცვლილებების დოკუმენტაცია.
- მონიტორინგისა და შეფასების შედეგები რეგულარულად აისახოს ანგარიშებში და გამოიყენებოდეს პროცესების დახვეწისთვის.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.............................................................................................................................................................................................................................

.............................................................................................................................................................................................................................

## 2. პროცესების მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პროცესებს მართავს ხარისხის ციკლზე (ე.წ. დემინგის ციკლი) „დაგეგმვა- განხორციელება- შეფასება - გადახედვა/გაუმჯობეება" დაყრდნობით. შესაბამისად დაწესებულების მიერ შერჩეული ხარისხის მართვის აღნიშნული პრინციპი ეყრდნობა ორ ძირითად პრინციპს. პროცესულ მიდგომას დაპროცესის ფარგლებში ხარისხის ციკლის გავლას. ***პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი - ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრ"-სა და მის დაქვემდებარებაში არსებულ სკოლამდელ აღზრდის დაწესებულებებში პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ ბრძანება: ბ73. 2425202001 თარიღი: თარიღი:21/07/2025. მუხლი 5. ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი"***

- **პროცესების აღმწერებისა და ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტში** დეტალურად არის გაწერილი მიმდინარე პროცესების ჩამონათვალი და თითოეული პროცესის აღმწერი;
- ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება **PDCA ციკლს** (დაგეგმე – *განახორციელე – შეაფასე – გადახედე/გააუმჯობესე*), რაც უზრუნველყოფს პროცესების უწყვეტ გაუმჯობესებას.
- პროცესების **შეფასება და ანალიზი** განხორციელდება დოკუმენტებზე დაყრდნობით, რის შედეგადაც შემუშავდება რეკომენდაციები პრაქტიკის გაუმჯობესებისთვის.
- ეს ქმნის საფუძველს, რომ მომავალში ბაღი შეძლებს სისტემურად განახორციელოს პროცესების მონიტორინგი და გააუმჯობესოს ისინი მიღებული შედეგების საფუძველზე.

- დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი არის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, თუმცა აღნიშნული პოზიცია ამ ეტაპზე არ არის ასახული არც საშტატო ნუსხაში და არც ორგანოგრამაში.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

რეკომენდირებულია, რომ დაწესებულებამ შესაბამისი ცვლილებები შეიტანოს როგორც საშტატო ნუსხაში, ასევე ორგანოგრამაში, რათა დაფიქსირდეს ხარისხის მენეჯერის პოზიცია და განსაზღვრული იყოს ამ ფუნქციის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი. ეს აუცილებელია ხარისხის მართვის მექანიზმების ეფექტურად და პრაქტიკულად ამოქმედებისთვის.

რჩევა

- პროცესების შეფასებისას მიზანშეწონილია სტანდარტიზებული კრიტერიუმების გამოყენება (მაგ., ეფექტიანობა, ინკლუზიურობა, უსაფრთხოება).
- კარგი იქნება შედეგების რეგულარული უკუკავშირი პერსონალთან, რათა მათ ჰქონდეთ წარმოდგენა გაუმჯობესების საჭირო მიმართულებებზე.
- PDCA ციკლის შედეგები ყოველწლიურად ინტეგრირდეს თვითშეფასების ანგარიშში, რათა არსებობდეს მტკიცებულება უწყვეტი გაუმჯობესების შესახებ.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ შეუსაბამობასთან მიმართებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 12 თვის ვადით, განსაზღვრული აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის დაგეგმილი აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და საჭირო რესურსი. ექსპერტის შეფასება შეიცვალა მეტწილით.

## 3. დაწესებულებაში ბავშვის ჩარიცხვა და ამორიცხვა ხორციელდება დაწესებულების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ბავშვისა და დაწესებულების სამართლებრივი კავშირის განსაზღვრისათვის დაწესებულებაში არსებობს რეგისტრაციის და ჩარიცხვა-ამორიცხვის წესი, დაწესებულება აღნიშნავს რომ წესი დამტკიცებულია „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე. ბავშვის/აღსაზრდელის რეგისტრაციისა და მიღება-ამორიცხვის წესის ***(ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი"ს დაქვემდებარებაში არსებულ სკოლამდელ აღზრდის საჯარო დაწესებულებებში ბავშვის/აღსაზრდელის რეგისტრაციისა და მიღება-ამორიცხვის წესის დამტკიცების თაობაზე ბრძანება: ბ73. 242519812, თარიღი: 17/07/2025)*** ანალიზი ცხადყოფს, რომ დაწესებულებაში ბავშვის ჩარიცხვა და ამორიცხვა ხორციელდება დაწესებულების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, წესი არეგულირებს რეგისტრაციის და ჩარიცხვა/ამორიცხვის სისტემას, უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობას და ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების (ყველასათვის) თანაბარ ხელმისაწვდომობას.

- უფრო კონკრეტულად წესი არეგულირებს - დაწესებულებაში ბავშვების მიღებას (რეგისტრაცია), ჩარიცხვას, ამორიცხვას ( რეგისტრაციიდან მოხსნა), ჯგუფის დაკომპლექტებას, დამატებით (შერეული) ჯგუფების შექმნას, რეგისტრაციის შეჩერების შემთხვევებს, საქმისწარმოების მიზნებისთვის დაწესებულებაში წარსადგენი საბუთების ნუსხას, რეგისტრაციის ფორმას (ელექტრონული) და სხვ.
- ჩარიცხვის უფლება აქვთ:
    - საქართველოს მოქალაქეებს,
    - უცხო ქვეყნის მოქალაქეებს,
    - საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირებს, დაბადებიდან დაწყებითი საფეხურის პირველ კლასში სწავლის დაწყებამდე.
- ამორიცხვის საფუძვლები მკაფიოდ გაწერილია:
    - აღსაზრდელის 10 სამუშაო დღეზე ზედიზედ და 15 სამუშაო დღეზე (თვეში) დაუსაბუთებელი არგამოჩენა იწვევს რეგისტრაციის შეჩერებას.
    - დამატებით 5 სამუშაო დღეში მშობლის მიერ საპატიო მიზეზის დამადასტურებელი დოკუმენტის წარუდგენლობა წარმოადგენს ამორიცხვის და რეგისტრაციის გაუქმების საფუძველს.
- დოკუმენტში გაწერილია გამონაკლისების გათვალისწინების მექანიზმი (საპატიო მიზეზების არსებობის შემთხვევაში), რაც პროცესს ადაპტირებადობასა და სამართლიანობას ანიჭებს.
- აღნიშნული წესი უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობას, სამართლებრივ დაცულობას და თანასწორობას ყველა ბავშვისთვის.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულს არეგულირებს ჩარიცხვა/ამორიცხვის წესი, თუმცა ა.ა.ი.პ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“ს დაქვემდებარებაში არსებული ს/ბაღების შინაგანაწესში (2025 წლის რედაქცია), რომელშიც ცვლილება შეტანილია ა.ა.ი.პ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“ს დირექტორის 2025 წლის 10 ივნისის N*ბ73. 2425161001 ბრძანებით ა.ა.ი.პ- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრის“ 2022 წლის 12 ოქტომბრის N ბ73.2422285001 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე არსებულ მე-15 მუხლის „ს/ბაღში ბავშვის მიღება და ჯგუფების დაკომპლექტება.“ მერვე პუნქტი „8. იმ შემთხვევაში, თუ მომსახურების მსურველთა რაოდენობა აჭარბებს ბაღში არსებული ადგილების მაქსიმალურ რაოდენობას, მომსახურების მიღების მსურველთა ოჯახის სოციალური და სხვა პირობების,სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ფიზიკური გარემოს და ადამიანური რესურსების გათვალისწინებით, მშობელთა კომიტეტის რეკომენდაციით, დამფუძნებელთან შეთანხმების შემთხვევაში, შესაძლებელია ჯგუფში აღსაზრდელთა რაოდენობის გაზრდა.„* და ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“ს დაქვემდებარებაში არსებულ სკოლამდელ აღზრდის საჯარო დაწესებულებებში ბავშვის/აღსაზრდელის რეგისტრაციისა და მიღება-ამორიცხვის წესის *მე-4 მუხლის „სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებაში ჯგუფების დაკომპლექტება „ მესამე პუნქტის შინაარსი „3.იმ შემთხვევაში, თუ მომსახურების მიღების მსურველთა რაოდენობა აჭარბებს სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებაში არსებული ადგილების მაქსიმალურ რაოდენობას, მომსახურების მიღების მსურველთა რაოდენობის, სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულების ფიზიკური გარემოსა და ადამიანური რესურსების გათვალისწინებით, საკონსულტაციო საბჭოს რეკომენდაციის გათვალისწინებით, სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელის თხოვნითა და ცენტრის დირექტორის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია ჯგუფში ან ჯგუფებში, ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი აღსაზრდელთა რაოდენობის გაზრდა. აღნიშნულ შემთხვევაში, აღსაზრდელთა რაოდენობის გაზრდის შესახებ დგება დასაბუთებული მოთხოვნა, რასაც დაერთვება საკონსულტაციო საბჭოს სხდომის ოქმი კონკრეტულ ასაკობრივ ჯგუფში ზუსტი რაოდენობის მითითებით.“* წესის მეორე პუნქტში წერია, რომ: *„2.ჯგუფებში აღსაზრდელთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება ცენტრის შინაგანაწესით, ფიზიკური გარემოსა და ადამიანური რესურსების გათვალისწინებით, ბაგის ჯგუფში არაუმეტეს 25 აღსაზრდელისა, ხოლო, ბაღის ჯგუფში, არაუმეტეს 30 აღსაზრდელისა. “*აღნიშნული გარემოება ეწინააღმდეგება საქართველოს კანონს ,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ , რომლითაც დადგენილია სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ჯგუფებში აღსაზრდელთა მაქსიმალური ოდენობები, თუმცა, მხედველობაში შეიძლება მიღებულ იქნეს ის ფაქტი, რომ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის „ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწეს;.ებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის დამტკიცების შესახებ“ №76 დადგენილების მეოთხე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად „მუნიციპალიტეტის მერი ითანხმებს ავტორიზაციით განსაზღვრულ ვადაში, საჯარო დაწესებულების მიერ ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით დადგენილი ბავშვების ზღვრული რაოდენობის არა უმეტეს 30%-ით გაზრდილი ოდენობისათვის მომსახურების გაწევის შემთხვევებს იმ პირობის დაცვით, რომ უზრუნველყოფილი იქნება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების“ შესახებ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები, რაც ასახული უნდა იქნეს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დროებითი მართვის საინფორმაციო სისტემაში“.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.........................................................................................................................................................................................................

.........................................................................................................................................................................................................

რჩევა

- კარგი იქნება მშობლებისთვის მარტივი გზამკვლევის შექმნა (მაგ., ბუკლეტი ან ონლაინ-ფაილი), სადაც მოკლედ იქნება აღწერილი ჩარიცხვისა და ამორიცხვის პროცედურები;
- სასურველია, დაწესებულებამ შიდამარეგულირებელ დოკუმენტებში ერთმნიშვნელოვნად განსაზღვროს, რომ აღსაზრდელთა რაოდენობის გადაჭარბება დაწესებულებაში არ შეიძლება აღემატებოდეს ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით დადგენილი ბავშვების ზღვრული რაოდენობის 30%-ს.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.........................................................................................................................................................................................................

.........................................................................................................................................................................................................

## 4. დაწესებულება აწარმოებს ბავშვებისა და პერსონალის პირად საქმეებს დადგენილი წესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ინდიკატორის მოთხოვნის თანახმად, პერსონალის მართვის პროცესში, დაწესებულებას დადგენილი უნდა ჰქონდეს ბავშვებისა და პერსონალის პირადი საქმეების წარმოების წესი და იმ დოკუმენტების ჩამონათვალი, რაც უნდა წარმოადგენდეს პირადი საქმის ნაწილს. დაწესებულებას პირად საქმეების წარმოებისთვის დადგენილი წესი ცალკე არ აქვს შემუშავებული, შესაბამისად არ არის განსაზღვრული პირადი საქმეების შენახვაზე პასუხიმსგებელი პირი. დაწესებულებას გააჩნია პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი და შინაგანაწესი, რომლებშიც შეტანილი აქვს გარკვეული მუხლები პერსონალისა და ბავშვის პირად საქმეებთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია, რომ პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის ***(„ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრ“-სა და მის დაქვემდებარებაში არსებულ სკოლამდელ აღზრდის დაწესებულებებში პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის დამტკიცების თაობაზე“ (ბრძანება: ბ73. 24251982, თარიღი: 17/07/2025)*** 22-ე მუხლში ***„მუხლი 22. თანამშრომელთა***

***პირადი საქმეები“*** ჩამოთვლილი პერსონალის პირად საქმეში განსათავსებელი სავალდებულო დოკუმენტების ნუსხა არ ემთხვევა შინაგანაწესში ცვლილების შეტანის თაობაზე ბრძანებაში (***„ა.ა.ი.პ- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრის“ 2022 წლის 12 ოქტომბრის N ბ73.2422285001 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ბრძანება: ბ73. 2425161001 თარიღი: 10/06/2025.)*** მე-4 მუხლის ***„მუხლი 4. შრომითი ურთიერთობის რეგულაცია და პირადი დოკუმენტაცია „*** მეშვიდე პუნქტში ჩამოთვლილ იმ სავალდებულო დოკუმენტებს, რომელიც ცაწესებულებას განსაზღვრული აქვს პერსონალის პირად საქმეში შესანახად. დაწესებულებაში დოკუმენტების დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ პირადი საქმის წარმოებისთვის დაწესებულების განსაზღვრული ყველა დოკუმენტაცია პირად საქმეებში არ იდო.

ყველა შემთხვევაში პირადი საქმეებით ვერ მოხერხდა დასაქმებულების კვალიფიკაციის შესაბამისობა დაკავებულ თანამდებობასთან. იქიდან გამომდინარე, რომ დაწესებულებას არ გააჩნია ცალკე საკვალიფიკაციო მოთხოვნები, პირადი საქმეებიც არ არის ფორმულირებული კონკრეტული პოზციისათვის დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვების გათვალისწინებით.

შინაგანაწესში ცვლილების შეტანის თაობაზე ბრძანების - ***„ა.ა.ი.პ- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრის“ 2022 წლის 12 ოქტომბრის N ბ73.2422285001 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ბრძანება: ბ73. 2425161001 თარიღი: 10/06/2025. „მუხლი 16. აღსაზრდელთა ჩარიცხვისათვის წარმოსადგენი აუცილებელი საბუთები და შემდგომი პროცედურები:-ის“*** პირველ პუქტში ჩამოთვლილია იმ დოკუმენტების ნუსხა, რომელიც ბავშვის პირად საქმეში იდება.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს მარეგულირებელი დოკუმენტების - „შინაგანაწესის“, „პერსონალის მართვის დოკუმენტის“ და „ბავშვის/აღსაზრდელის რეგისტრაციისა და მიღება-ამორიცხვის წესის“ შინაარსის გადახედვა და ურთიერთთანხვედრაში მოყვანა - განსაკუთრებით იმ ნაწილებში, სადაც დოკუმენტების ჩამონათვალი ან პროცედურების აღწერა ნაწილობრივ მეორდება ან განსხვავებულია;

რჩევა

სასურველია შემუშავდეს პერსონალის პირადი საქმის წარმოების წესი და გათვალისწინებულ იქნას კანონმდებლობით სავალდებილოდ განსაზღვრული დოკუმენტაციის ჩამონათვალი. მაგ.: „ადრეული და სკოალმდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მიხევიდთ „დაწესებულებაში არ შეიძლება დასაქმდეს „სქესობრივი თავისულებისა და ხლშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული

დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესოვირვი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამარელვი პირი, მიუხედვად ნასამართლეობის მოხსნისა ან გაქარწყლებისა.“ შესაბამისად აღნიშნული ცნობა უნდა იყოს ყველა პერსონალის პირადი საქმის შემადგენელი ნაწილი.

ყოველივე ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით ყველა თანამშრომლის პირადი საქმე კარგი იქნება მოიცავდეს შემდეგ დოკუმენტაციას:

- ვაკანტურ პოზიციაზე დასასაქმებელი კანდიდატის პირად განცხადებას;
- დაბეჭდილ პერსონალურ მონაცემებს ( CV) ან თანამშრომლის მიერ შევსებულ ბიოგრაფიულ მონაცემებს (ანკეტად);
- სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელ დოკუმენტებს (შრომის წიგნაკი, ცნობა, გაფორმებული ხელშეკრულება და სხვა. ასეთი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში);
- განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი ((დიპლომი/სერტიფიკატი) ასეთი მოთხოვნის არსებობის შემთხვევში);
- ფერადი ფოტოსურათი 2 ცალი 3X4;
- თანამდებობრივ ინსტრუქციას/სამუშაო აღწერილობას;
- ცნობას ნასამართლეობის შესახებ;
- ცნობას ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ;
- ცნობას ნარკოლოგიური აღრიცხვისანობის შესახებ;
- კვალიფიკაციის ამაღლების/პროფესიული განვითარების დამადასტურებელი დოკუემნტების ასლებს ( ასეთის მოთხოვნის შემთხვევაში)
- დოკუმენტები: წახალისების, დაჯილდოების და დისციპლინარული პასუხისმგებლობის შესახებ;
- გაფორმებულ შრომით ხელშეკრულება(ები).

მხოლოდ მომსახურების მოწოდების მისამართზე დაწესებულებაში შესაბამის პერსონალს მოეთხოვება:

- ცნობა ტუპერკულიოზით დაავადების არსებობის შესახებ;
- ცნობა სამზარეულოს პერსონალისთვის ბაქტერიების და ჭიის კვერცხის არარსებობის შესახებ.

მნიშვნელოვანია დაწესებულებამ განსაზღვროს აღნიშნული ცნობების განახლების პერიოდულობა.

ბავშვის პირად საქმეში ჩასადები სავალდებულო დოკუმენტების ჩამონათვალი სასურველია განისაზღვროს რეგისტრაციის წესით. კარგი იქნება პირადი საქმე მოიცავდეს სულ მცირე შემდეგ დოკუმენტებს:

- დაბადების მოწმობის ასლი;
- ჯანმრთელობის ცნობა;
- ბავშვის 2 ფოტოსურათი 3X4;
- მშობლ(ებ)ის ან/და კანონიერი წარმომადგენლის პირადობის მოწმობის ასლი; კანონიერი წარმომადგენლის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ინფრომაცია ბავშვის ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართის შესახებ და მშობლების/ კანონიერი წარმომადგენლის საკონტაქტო ინფორმაცია;
- ბავშვის ფოტო/ვიდეო გადაღებისა და მისი საჯაროდ გამოქვეყნების (ვებგვერდი, სოციალური ქსელი და სხვ.) შესახებ ნებართვა;
- კურიკულუმის ფარგლებში ბავშვის დაწესებულების ფარგლებს გარეთ დაგეგმილ ღონისძიებებზე გაყვანის შესახებ ნებართვა;
- სპეციალური საჭიროების მქონდე ბავშვის შემთხვევაში შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა/რეკომენდაცია ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ან/და შემდგომი ასაკობრივი განვითარებისთვის 6 წელზე ზევით საჯარო დაწესებულების მომსახურებით სარგებლობის საჭიროების შესახებ;
- მშობლისა და დაწესებულებას შროის გაფომრებული მომსახურების ხელშეკრულება.

საჭიროების შემთხვევაში, დაწესებულების მიერ შესაძლებელია მოთხოვნილი იქნას სხვა დოკუმენტაციაც.

- კარგი იქნება ციფრული არქივის სისტემის ეტაპობრივი დანერგვა, რომელიც გაზრდის მონაცემთა უსაფრთხოებას და გამარტივებს საქმეებთან წვდომას;
- ასევე სასარგებლო იქნება პირადი საქმეების პერიოდული აუდიტი (მაგ., წელიწადში ერთხელ), რათა დოკუმენტაცია ყოველთვის იყოს განახლებული და შესაბამისობაში - სამართლებრივ მოთხოვნებთან.

### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ შეუსაბამობასთან მიმართებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 4 თვის ვადით, განსაზღვრული აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის დაგეგმილი აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და საჭირო რესურსი. ექსპერტის შეფასება შეიცვალა მეტწილით.

**დასტურდება (მტკიცებულებები):**
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს დირექტორის 2025 წლის 17 ივლისის N ზ73.24251982 ბრძანება, ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრ“-სა და მის დაქვემდებარებაში არსებულ სკოლამდელ აღზრდის დაწესებულებებში პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის დამტკიცების თაობაზე;
2. ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს დირექტორის 2025 წლის 17 ივლისის N ზ73.242519812 ბრძანება, ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“ს დაქვემდებარებაში არსებულ სკოლამდელ აღზრდის საჯარო დაწესებულებებში ბავშვის/აღსაზრდელის რეგისტრაციისა და მიღება-ამორიცხვის წესის დამტკიცების თაობაზე;
3. ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს დირექტორის 2025 წლის 21 ივლისის N ზ73.2425202001 ბრძანება, ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრ“-სა და მის დაქვემდებარებაში არსებულ სკოლამდელ აღზრდის დაწესებულებებში პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ;
4. ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს დირექტორის 2025 წლის 10 ივნისის N ზ73. 2425161001 ბრძანება, ა.ა.ი.პ- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრის“ 2022 წლის 12 ოქტომბრის N ზ73.2422285001 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ა.ა.ი.პ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“ს დაქვემდებარებაში არსებული ს/ბაღების შინაგანაწესი (2025 წლის რედაქცია);
5. ინტერვიუს შედეგები;
6. პერსონალის და ბავშვის პირადი საქმეები;

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.2 პროცესების მართვა** | | | |
| შეესაბამებ.ა ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

### 4.3. მატერიალური რესურსი

### 4.3.1. დაწესებულების მატერიალური რესურსი გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ ბავშვთა რაოდენობას

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.3 მატერიალური რესურსი** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☒ | არ შეესაბამება ☐ |

### 4.4.კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი

### 4.4.1. დაწესებულების მიერ შეთავაზებული კვების მომსახურება ხელს უწყობს ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებას

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.4. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.4 კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

### 4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები

### 4.5.1 დაწესებულებაში დაცულია სანიტარული და ჰიგიენური ნორმები

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.5. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.5 სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☒ | არ შეესაბამება ☐ |

## 4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება

## 4.6.1. დაწესებულებაში დაცულია პერსონალის და ბავშვების ფიზიკური უსაფრთხოება

### 1. დაწესებულება უზრუნველყოფს დაწესებულების ტერიტორიაზე პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენას და საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ინდიკატორის მოთხოვნით დაწესებულებაში დაცული უნდა იყოს ბავშვის ფიზიკური უსაფრთხოება, ამისათვის ბავშვთან უშუალო შეხებაში მყოფ პერსონალს უნდა ჰქონდეს შესაბამისი ცოდნა და უნარები, რათა უზრუველყოს ნებისმიერ სიტუაციაში შესაბამისი რეაგირება და მოქმედება. საგანმანათლებლო პერსონალის შემადგენლობაში შედიან დაწესებულების თანამშრომლები, რომლებიც ჩართულნი არიან საგანმანათებლო პროცესში. მათ შორის უშუალოდ ბავშვთან მომუშავე პერსონალს: აღმზრდელს და აღმზრდელის ასისტენტს უნდა ჰქონდეს შესაბამისი დოკუმენტით დადასტურებული პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია. ამ მიზნით დაწესებულებას გაწერლი არ აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, სადაც აღწერილი იქნება თუ ვინ და როგორ არის პასუხისმგებელი პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენაზე. დაწესებულების ტერიტორიაზე არის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისთვის განკუთვნილი სივრცე - სამედიცინო კაბინეტი, თუმცა არ არის მოწყობილი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგად ირკვევა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს მის ტერიტორიაზე პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენას, დაწესებულებაში მუშაობს 3 მედდა, რომელსაც გამოყოფილი აქვთ კაბინეტი, აღჭურვილი სამედიცინო

ინვენტარით. რეგულარულად ხორციელდება პირველადი დახმარების საშუალებების ვარგისიანობის შემოწმება, ხოლო სამედიცინო პერსონალს აქვს კომპეტენცია საჭიროების შემთხვევაში პირველადი დახმარების გასაწევად.

- ამ ეტაპზე დაწესებულებას არ აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. აღნიშნული დეფიციტი უკვე დაფიქსირებულია და შეტანილია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში *(2025–2026 წლების განმავლობაში საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შემუშავება და შესაბამისი ორგანოსთან შეთანხმება)* დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმა და სტანდარტთან შესაბამისობის ვადად განსაზღვრულია 24 თვე.

დაწესებულებამ წარმოადგინა წერილობითი მიმართვა *(წერილის ნომერი: 73-2425192114, თარიღი 11/07/2025)* შსს სსდ- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან, რომელიც დაწერილია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსის სახელზე. წერილში დაწესებულება ითხოვს კონსულტაციის გაწევას საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ოქტომბრის N452 დადგენილების საფუძველზე ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტის დაქვემდებარებაში შემავალი 9 ბაღის, კერძოდ N1, N2, N12, N13, N16, N18 საბავშვო ბაღებისა და სოფელ ანაკლიის, შამგონისა და ჯუმის საბავშვო ბაღების საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შემუშავებაში, შეთანხმებასა და შესაბამისობის დადგენაში. ინტერვიუდან ირკვევა, რომ დაწესებულებას საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურიდან უკუკავშირი ამ დრომდე არ მიუღია.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

- აუცილებელია დაწესებულებას ჰქონდეს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.
- მიზანშეწონილია დაწესებულებას ჰქონდეს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, სადაც აღწერილი იქნება თუ ვინ და როგორ არის პასუხისმგებელი პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენაზე;
- საგანმანათლებო პერსონალის თითოეული წევრისთვის ჩატარდეს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის ტრენინგები შესაბამისი კომპეტენციის მინიჭებისათვის;

რჩევა

- კარგი იქნება თუ საგანმანათლებლო პერსონალის პოზიციაზე გამოცხადებულ ვაკანსიაში,სასურველ კომპონენტად, იქნება განსაზღვრული პერველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენციის არსებობა.
- სასურველია არანაკლებ კანონმდებლობით დადგენილი პერიოდულობით ჩატარდეს საგანგებო სიტუაციების სიმულაციური წვრთნები, რათა პერსონალმა და ბავშვებმა პრაქტიკულად შეისწავლონ მოქმედების თანმიმდევრობა. შესრულება კი კარგი იქნება დასტურდებოდეს შესაბამისი აღრიცხვის ჟურნალებით/ჩანაწერებით/ფოტო მტკიცებულებებით ან სხვ.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ შეუსაბამობასთან მიმართებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 24 თვის ვადით, განსაზღვრული აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის დაგეგმილი აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და საჭირო რესურსი. ექსპერტის შეფასება შეიცვალა ნაწილობრივით.

## 2. დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული მცენარეები არ წარმოადგენენ საფრთხეს ბავშვის და პერსონალის ჯანმრთელობისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ინდიკატორის მოთხონის მიხედვით, დაწესებულებას უნდა ჰქონდეს შენობაში და ეზოში/გარე სივრცეში არსებული მცენარეების შესახებ ინფორმაცია. მწვანე საფარი აღრიცხული არ არის შესაბამის ინვენტარიზაციის დოკუმენტში და აქედან გამოდმინარე არც ინახება. დაწესებულების ტერიტორიაზე არსებობს მწვანე საფარი და მცენარეები, თუმცა აღწერილი არ აქვს არსებული მცენარეები და მათი მახასიათებლები. წარმოდგენილია ინვენტარიზაციის დოკუმენტი, დოკუმენტში არ არის არანაირი ინფორმაცია დაწესებულების ტერიტორიაზე არსებულ მცენარეებზე. ინტერვიუსას აღნიშნავენ, რომ არსებული მცენარეები არ შეიცავს ბავშვების ან პერსონალის ჯანმრთელობისთვის საშიშ სახეობებს.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

- დაწესებულებას მიზანშეწონილია ჰქონდეს შენობაში და ეზოში/გარე სივრცეში არსებული მცენარეების შესახებ ინფორმაცია. რეკომენდირებულია მწვანე საფარი აღრიცხული იყოს შესაბამის ინვენტარიზაციის დოკუმენში და ინახებოდეს.

რჩევა

..........................................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ შეუსაბამობასთან მიმართებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 12 თვის ვადით, განსაზღვრული აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის დაგეგმილი აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და საჭირო რესურსი. ექსპერტის შეფასება შეიცვალა მეტწილით.

### 3. კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების ტერიტორიიდან ბავშვების გაყვანისას დაცულია ბავშვების უსაფრთხოება და პროცესი ხორციელდება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვის საფუძველზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესი მოიცავს თემის ჩართულობით რიგი აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებას . ბავშვის უსაფრთხოების დაცვის მიზნით, დაწესებულებას შემუშავებული უნდა ჰქონდეს, ბავშვის ტერიტორიიდან გაყვანის წესები/პროცედურა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობის/ნებართვის ფორმა აღნიშნულთან დაკავშირებით. ზემოაღნიშნული ნებართვა, ისევე როგორც ბავშვისთვის ფოტო/ვიდეოს გადაღებისა და მისი საჯაროდ გამოქვეყნების (ვებგვერდი, სოც.ქსელი და სხვ.) შეხახებ ნებართვა უნდა წარმოადგენდეს ბავშვის პირადი საქმის ნაწილს.

დაწესებულებას შემუშავებული არ აქვს კურიკულუმის ფარგლებში ბავშვების ტერიტორიიდან გაყვანისთვის უსაფრთხოების წესები, თუმცა დაწესებულება უზრუნველყოფს, რომ ბავშვების ტერიტორიის გარეთ გაყვანა (სასწავლო-საგანმანათლებლო ან კულტურულ-საგანმანათლებლო მიზნებისთვის) ხორციელდებოდეს მხოლოდ მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვის საფუძველზე. გააჩნიათ „ნებართვის ფურცელი" სამ პუნქტად. 1. „ჩემი შვილის ფოტოს გადაღებაზე და სოციალურ ქსელში განთავსებაზე. (საგანმანათლებლო მიზნებისთვის) 2. „ექსურსიებზე, საგანმანათლებლო მიზნებისთვის საბავშვო ბაღის ტერიტორიის გარეთ გაყვანაზე" , 3. „ჩემი შვილის საბავშვო ბაღიდან გაყვანაზე ნებარღვას ვაძლევ...". დოკუმენტს ხელს აწერს მშობელი და გამგე.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

- მიზანშეწონილია დაწესებულებას ჰქონდეს კურიკულუმის ფარგლებში ბავშვების ტერიტორიიდან გაყვანისთვის უსაფრთხოების წესი/პროცესები;

რჩევა

- უსაფრთხოების გაძლიერებისთვის სასარგებლო იქნება დამატებითი თანმხლები პერსონალის განსაზღვრა (მაგ., აღმზრდელი + ასისტენტი) ბავშვების ჯგუფურად გაყვანისას.

- ნებართვის ფუცელი უმჯობესია განთავსდეს ბავშვის პირად საქმეში;

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ შეუსაბამობასთან მიმართებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 7 თვის ვადით, განსაზღვრული აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის დაგეგმილი აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და საჭირო რესურსი. ექსპერტის შეფასება შეიცვალა მეტწილით.

### 4.6.2. დაწესებულებაში დაცულია ბავშვების ემოციური უსაფრთხოება

1. დაწესებულების გარემო თითოეული ბავშვისთვის პროგნოზირებადია-ბავშვები იცნობენ დღის განრიგს და აქვთ ინფორმაცია დღის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობების შესახებ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ემოციური უსაფრთხოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ბავშვისთვის პროგნოზირებადი დღის განრიგის არსებობა. ბავშვები უნდა იცნობდნენ განრიგს და ჰქონდეთ ინფრომაცია დღის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობების შესახებ. დაწესებულებაში გარემო მეტნაკლებად პროგნოზირებადია ბავშისთვის რაც დასტურდება იმით, რომ არსებობს ვიზუალურად გაფორმებული დღის განრიგი, თუმცა ის არ არის ბავშვებისთვის მარტივად აღქმადი მიუხედავად იმისა, რომ შეიცავს შესაბამის მინიშნებებს. ზოგ შემთხვევაში განთავსებული არ არის ბავშვის სიმაღლეზე და „ფოტო მინიშნებების“ ზომა ძალიან პატარაა ბავშვის თვალით აღსაქმელად.

ინტერვიუს დროს საგანმანათლებლო პერსონალი აღნიშნავს, რომ ჯგუფში არსებული ე.წ. ვიზუალური დღის განრიგი, სრულ ინფორმაციას აწვდის ბავშვებს, რაც უზრუნველყოფს იმას, რომ ბავშვებს აქვთ მომზადებული მოლოდინი დღიურ აქტივობებთან დაკავშირებით, შესაბამისად ეს უზრუნველყოფს პროგნოზირებად გარემოს და ამცირებს გაურკვევლობას. მნიშვნელოვანია, რომ დღის განრიგში შესაძლებელია ცვლილებების შეტანა ინდივიდუალური და ჯგუფური საჭიროებების მიხედვით, რაც ადასტურებს პროცესის მოქნილობასა და ბავშვთა ინტერესებზე მორგებულობას.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

დღის განრიგის სურათების ზომა უნდა იყოს თვალისთვის მარტივად აღქმადი.

რჩევა

სასურველია საგანმანათლებლო პერსონალმა დღე ბავშვებთან დღის განრიგის, გეგმის, პროექტების და ნებისმიერი იმ ცვლილებების გაზიარებით დაიწყოს, რაც შეიძლება დღის განმავლობაში მოხდეს.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ შეუსაბამობასთან მიმართებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 4 თვის ვადით, განსაზღვრული აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის დაგეგმილი აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და საჭირო რესურსი. ექსპერტის შეფასება შეიცვალა მეტწილით.

## 2. დაწესებულების პერსონალი იცნობს ბავშვის უფლებებს და იცავს მათ საქმიანობის წარმართვის პროცესში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში უმნიშვნელოვანესია არაძალადობრივი გარემოს შექმნა, შესაბამისად დაწესებულება ვალდებულია დაიცვას ბავშვის უფლებათა სფეროში საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, როგორიც არის: „ბავშვის უფლებათა კონვენცია: და საქარელოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი“. მნიშვნელოვანია დაწესებულება აცნობიერებდეს, რომ შეუძლებელია ბავშვზე ორიენტირებული და ძალადობისგან თავისუფალი გარემოს შექმნა, თუ მასში არ მონაწილეობს ყველა თანამშრომელი და ჩართული მხარე, მათ შორის ისინიც, ვინიც უშუალოდ ბავშვებთან არ აქვთ შეხება. ა.ა.ი.პ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრის დაქვემდებარეობაში მყოფი ს/ბაღების სამუშაო ადგილების აღწერილობაში (2025 წლის რედაქცია) *(ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრ“-სა და მის დაქვემდებარებაში არსებულ სკოლამდელ აღზრდის დაწესებულებებში პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის დამტკიცების თაობაზე ბრძანება: ბ73. 24251982, თარიღი: 17/07/2025)* მკაფიოდ გაწერილია ვალდებულება, რომ პერსონალი ერკვეოდეს ბავშვთა უფლებათა კონვენციით გარანტირებულ უფლებებში და ხელს უწყობდეს მათ დაცვას. დაწესებულებამ წარმოადგინა ბრძანება ტრენინგ-კურსის კურსდამთავრების შესახებ, სადაც ჩანს, რომ დაწესებულების ერთი თანამშრომელი (სპეც. მასწავლებელი) გადამზადდა ბავშვთა უფლებებსა და რეფერირების საკითხებში.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

რჩევა

- კარგი იქნება თუ დაორგანიზდება სპეციფიკურად ბავშვის ძალადობისგან დაცვის საკითხთან დაკავშირეიბული ტრენინგები, კურსები, საჯარო, სამუშო შეხვედრები და დაისკუსიები, ასევე გაიზრდება შესაბამის რესურსებზე ხელმისაწვდომობა. მაგ: რესურს-ოთახში (ან სხვა, პერსონალის თანამშრომლობისთვის დათმობილ სივრცეში) შესაბამისი ლიტერატურის შეტანით.
- შესაძლებელია ბავშვთა უფლებების კუთხის შექმნა ბაღში (ვიზუალური პოსტერები, სიმბოლური კოდექსი ბავშვებისთვის), რაც ხელს შეუწყობს როგორც პერსონალის, ისე ბავშვების ცნობიერების ამაღლებას.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ შეუსაბამობასთან მიმართებით წარმოადგინა არგუენტირებული პოზიცია და ექსპერტი ეთანხმება მიუხედავად იმისა, რომ ა.ა.ი.პ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრის დაქვემდებარეობაში მყოფი ს/ბაღების სამუშაო ადგილების აღწერილობაში (2025 წლის რედაქცია) გაწერილი ვალდებულება, რომ პერსონალი ერკვეოდეს ბავშვთა უფლებათა კონვენციით გარანტირებულ უფლებებში და ხელს უწყობდეს მათ დაცვას, არ არის გათვალისიწნებული ყველა თანამშრომლისათვის. დაწესებულება აღნიშნავს, რომ „პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის დამტკიცების თაობაზე“ (ბ73.24251982, 17/07/2025) – ამოქმედდა 2025 წლის ივლისში. მექანიზმის ფარგლებში განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება დაიწყო დაუყოვნებლივ, და ზუგდიდის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრმა უკვე 2025 წლის სექტემბერში გადაამზადა გაერთიანებაში შემავალი ყველა ფილიალის ერთი წარმომადგენელი.“ ასევე დაწესებულებას ოჯახთან და თემთან ურთიერთობის სამოქმედო გეგმაში (*ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს დირექტორის 2025 წლის 18 ივლისის N ბ73. 2425199001 ბრძანებით დამტკიცებული ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-სა და მის დაქვემდებარებაში შემავალი საბავშვო ბაღების საკომუნიკაციო გეგმები*) პასუხისმგებელი პირებისა და პერიოდულობის მითითებით გაწერილია, რომ ბაღის ხელმძღვანელი და საგანმანათლებლო პერსონალი, ასევე რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი სისტემატურად ახორციელებენ კომუნიკაციას მშობლებთან, მათ შორის, ცნობიერების ამაღლების მიზნით ბავშვთა უფლებების, ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების სპეციფიკის შესახებ.

დოკუმენტში ასევე მითითებულია, რომ მშობლების ინფორმირება ხდება როგორც პირდაპირი შეხვედრებით, ისე საინფორმაციო დაფებისა და სოციალური ქსელის, სატელეფონო ზარების მეშვეობით, და პროცესში მონაწილეობს როგორც აღმზრდელი პერსონალი, ისე ბაღის ხელმძღვანელი. ექსპერტის შეფასება შეიცვალა დადებითად.

## 3. დაწესებულებაში განსაზღვრულია პროცედურები ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედებისთვის და იდენტიფიცირებულია რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების ვალდებულებაა დაიცვას ბავშვები ემოციური, ფსიქიკური და ფიზიკური ძალადობისგან, გამოავლინოს და აღკვეთოს ძალადობის ყველა ფორმა. მნიშვნელოვანია, ძალადობის აღმოჩენის შემთხვევაში დაწესებულების როლის გათავისება და სწორი რეაგირება. აღნიშნული საკითხი რეგულირდება „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის N437 დადგენილებით. დოკუმენტი განსაზღვრავს ბავშვზე ძალადობის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში დაწესებულების მუშაობის წესს და ეფექტიანი და სწრაფი რეაგირების მექანიზმებს.

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესი, სადაც გაწერილია პროცედურები ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედებისთვის, კერძოდ: ***მუხლი 3. ბავშვის მიმართ ძალადობაზე რეაგირების საფუძველი*** - რაზე უნდა გაამახვილოს დაწესებულების პერსონალმა ყურადღება; ***მუხლი 4. ბავშვზე ძალადობის ეჭვის გაჩენის შემთხვევაში რეაგირებაზე პასუხიმგებელი პირი და რეაგირების მექანიზმი*** - ძალადობის ნიშნების შემჩნევის შემთხვევსი, ვის უნდა აცნობოს აღნიშნული ეჭვი დაწესებულების თანამშრომელმა, ინფორმირების წესი. ***ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-სა და მის დაქვემდებარებაში შემავალი საბავშვო ბაღებში ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ ბრძანება: ბ73. 24251985 თარიღი: 17/07/2025***

- ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში რეაგირების წესი სრულად შეესაბამება ,,ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და დამტკიცებულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრის დირექტორის მიერ.
- ვერ ვადასტურებ, რომ პერსონალი იცნობს დადგენილ წესებს და პრაქტიკაში ხელმძღვანელობს აღნიშნული წესებით. შინაგანაწესის ***„მუხლი 21. სოციალური და სააღმზრდელო გარემო, პერსონალის ღირებულებები“*** მე-5 პუნქტი ვკითხულობთ, რონ *„კატეგორიულად დაუშვებელია აღსაზრდელთა მიმართ ძალადობის მცირეოდენი გამოვლენაც კი. მიუღებელ გამოვლენად ჩაითვლება მშობლებისა და თანამშრომლებისათვის საკუთარაი ღირებულებებისა და ფასეულობების თავსმოხვევა. მნიშვნელოვანია კოლეგიალური ეთიკის დაცვა, პერსონალის შესაბამისი ჩაცმულობა“.* დაწესებულების პერსონალის პირად საქმეში განთავსებულია ხელმოწერილი დოკუემნტი, რითაც დასტურდება, რომ პერსონალი გაეცნო შინაგანაწესს.შესაბამისად აღნიშნულიდან გამომდინარე, ვერ დასტურდება იცნობს თუ არა პერსონალი ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში რეაგირების წესს.

- ბაღის თანამშრომლებს ჯერ არ ჩატარებიათ ტრენინგი ბავშვზე ძალადობის შემთხვევების იდენტიფიცირებისა და რეაგირების საკითხზე;
- დაწესებულებაში ინტერვიუს დროს და თვითშეფასების დოკუმენტში ირკვევა, რომ დაწესებულებაში იდენტიფიცირებულია რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც უზრუნველყოფს ძალადობის შემთხვევების დროულად და სწორად გადამისამართებას შესაბამის სტრუქტურებში. არსებობს ბრძანება *(რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციების დაკისრების შესახებ ზ73.2425136001, თარიღი: 16.05.2025)* რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციების დაკისრების შესახებ, რომელიც შექიმნა - *(ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის, „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი"-ს ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების რეგირების წესის დამტკიცების შესახებ 2025 წლის 15 მაისის №ზ73.24251352 ბრძანების საფუძველზე.* რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი გახლავთ (ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის, „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი"-ს იურისტი, რომელიც მუდმივად არ იმყოფება დაწესებულების ბაზაზე. №1 საბავშვო ბაღს ჰყავს გადამზადებული კადრი რეფერირებაზე, თუმცა არ არსებობს მისი დანიშვნის ბრძნება ბაღში რეფერირებაზე პასუხისმგებელ პირად.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

..............................................................................................................................................................................................................................
............................................................................................................................................................................................................................

რჩევა

- რეფერირებაზე პასუხსიმგებელი პირი შესაძლოა იყოს ბაღის გამგე ან გამოყოფილი პირი მხოლოდ ამ საქმიანობაზე იყოს პასუხისმგებელი. მნიშვნელოვანია დაწესებულებას ადგილზე ჰყავდეს რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი.
- კარგი იქნება პრაქტიკული სიმულაციური ტრენინგების ჩატარება (ქეისების განხილვა, როლური თამაშები), რათა პერსონალმა უკეთ გაითავისოს რეაგირების თანმიმდევრობა.
- სასურველია ინფორმაციის საჯარო სივრცეში გამოფენა (მაგ., ბაღის საინფორმაციო დაფაზე), სადაც მშობლებს და საზოგადოებასაც ექნებათ წარმოდგენა ბავშვთა დაცვის მექანიზმებზე და პასუხისმგებელ პირებზე.
- ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესში სასურველია დაემატოს ცხელი ხაზების ნომრების ჩამონათვალი.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ შეუსაბამობასთან მიმართებით წარმოადგინა არგუენტირებული პოზიცია და ექსპერტი ეთანხმება, რადგან ინდიკატორის მოთხოვნა ამ ეტაპზე დაკავშირებულია მექანიზმის არსებობასთან და პასუხისმგებელი პირის იდენტიფიცირებასთან, რაც სრულად შესრულებულია. ინდიკატორისათვის მეორე მოთხოვნასთან მიმათებაში წამროდგენილია შესაბამისობის გეგმა შემდეგი სახით: „№1 საზავშვო ბაღს ჰყავს გადამზადებული კადრი (საგანმანათლებლო პერსონალი) რეფერირებაზე, თუმცა არ არსებობს მისი დანიშვნის ბრძნება ბაღში რეფერირებაზე პასუხისმგებელ პირად.“ შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის დაწესებულებას განსაზღვრული აქვს 12 თვე, მოცემულია დაგეგმილი აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და საჭირო რესურსი. ექსპერტის შეფასება შეიცვალა დადებითად.

## 4. დაწესებულება ხელს უწყობს ბავშვის გარემოსთან ადაპტაციას და ტრანზიციას

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

- ბავშვის ადაპტაცია ბაღთან იწყება „ღია კარის დღეებით“, რაც შესაძლებლობას აძლევს ბავშვებსა და მშობლებს წინასწარ გაეცნონ გარემოს, პერსონალსა და სასწავლო პროცესს.
- დაწესებულება აღიარებს ტრანზიციის მრავალფეროვან ფორმებს:
    - სახლიდან ბაღში გადასვლა,
    - ერთი ასაკობრივი ჯგუფიდან მეორეში გადასვლა,
    - ბაღიდან სკოლაში გადასვლა,
    - ახალ ჯგუფში ინტეგრაცია.
- ადაპტაციის პროცესში გამოიყენება თამაშის ელემენტები, სპეციალური სტრატეგიები და გარემოს შესაბამისი მოწყობა, რაც ამცირებს სტრესს და ამარტივებს ახალ გარემოსთან შეჩვევას.
- ასეთი მიდგომა ხელს უწყობს ბავშვის ემოციური უსაფრთხოების დაცვას, სოციალური უნარების განვითარებას და თავდაჯერებულობის ამაღლებას.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

### რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

### რჩევა

- სასურველია ტრანზიციის პროცესში მშობლების ჩართულობის გაზრდა - მაგალითად, მშობლების მცირე აქტივობებში ჩართვა ადაპტაციის პირველ დღეებში.
- კარგი იქნება ტრანზიციის დოკუმენტირებული გეგმის შემუშავება (ბაღი → სკოლა), რომელიც დაეხმარება როგორც ბავშვებს, ისე მშობლებს და მასწავლებლებს პროცესის უკეთ დაგეგმვაში.
- შესაძლებელია „ტრანზიციის დღიურის“ შემოღება, სადაც აღირიცხება ბავშვის გამოცდილება, ემოციები და მიღწევები, რაც გაზრდის პროცესის სიღრმისეულ შეფასებას.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

......................................................................................................................................................................................................................................................

5. დაწესებულება იცავს ბავშვისა და მისი ოჯახის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება საკუთარი საქმიანობის პროცესში ფლობს და მართავს სხვადასხვა ტიპის პერსონალურ ინფორმაციას პერსონალის, ჩარიცხული ბავშვებისა და მათი ოჯახების შესახებ. ეს ინფორმაცია მოიცავს: ფოტოებს, ვიდეოებს, ინფორმაციას ჯანმრთელობის შესახებ და სხვ.

- პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონისა და ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის, „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწეებულებათა მართვის ცენტრი“-ს დირექტორის ბრძანების *(ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის, „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწეებულებათა მართვის ცენტრი“-ს 2024 წლის 22 იანვრის #ბ73.24240224 ბრძანების და ცენტრის იურისტის განცხადების საფუძველზე, იურისტისთვის დროებითი ფუნქციის დაკისრების შესახებ ბრძანება ბ73.2424151001, თარიღი: 30.05.2024)* საფუძველზე დაწესებულებაში დანიშნულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომელიც პასუხისმგებელია კონფიდენციალურობის სტანდარტების დაცვაზე. ოფიცერი გახლავთ ცენტრის იურისტი და მას გააჩნია სერტიფიკატი, რომელიც ადასტურებს, რომ 21.06.2024-05.07.2024-ში გაიარა ტრენინგკურსი „პერსონალურ მონაცემთა დაცვა მუნიციპალიტეტებში“
- დაწესებულებას შემუშავებული აქვს სპეციალური ფორმა - „მშობლის თანხმობა ბავშვისა და მისი პირადი მონაცემების შესახებ“, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის დამუშავების კანონიერებასა და გამჭვირვალობას, განთავსებულია ბავშვის პირად საქმეში, თუმცა არა ყველაში.
- პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში *(ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრ“-სა და მის დაქვემდებარებაში არსებულ სკოლამდელ აღზრდის დაწესებულებებში პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის დამტკიცების თაობაზე, ბრძანება: ბ73. 24251982, თარიღი: 17/07/2025 )* არსებულ ა.ა.ი.პ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრის ქვემდებარეობაში მყოფი ს/ბაღების სამუშაო

ადგილების აღწერილობის (2025 წლის რედაქცია) გაწერილია ვალდებულება, რომ თითოეულ თანამშრომელს ევალება აღსაზრდელისა და მისი ოჯახის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვა.

- აღნიშნული ზომები უზრუნველყოფს როგორც ბავშვის უფლებების დაცვას, ისე მშობლების ნდობის გაძლიერებას ბაღის მიმართ.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

- სასურველია პერსონალისთვის ჩატარდეს რეგულარული ტრენინგები მონაცემთა დაცვის თემაზე, განსაკუთრებით პრაქტიკულ მაგალითებზე (როგორ უნდა მოექცნენ დელიკატურ ინფორმაციას).
- კარგი იქნება კონფიდენციალურობის პოლიტიკის ვიზუალური გაშლა (მაგ., საინფორმაციო პოსტერები ბაღში), რათა მშობლებმაც იცოდნენ, როგორ ხდება მათი ინფორმაციის დაცვა.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს დირექტორის 2025 წლის 17 ივლისის Nბ73.24251985 ბრძანება, ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-სა და მის დაქვემდებარებაში შემავალი საბავშვო ბაღებში ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ;
2. ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს დირექტორის 2025 წლის 17 ივლისის N ბ73.242519812 ბრძანება, ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“ს დაქვემდებარებაში არსებულ სკოლამდელ აღზრდის საჯარო დაწესებულებებში ბავშვის/აღსაზრდელის რეგისტრაციისა და მიღება-ამორიცხვის წესის დამტკიცების თაობაზე;
3. ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“- ს N 1 საბავშო ბაღის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;
4. წერილობითი მიმართვა *(წერილის ნომერი: 73-2425192114, თარიღი 11/07/2025);*

5. *ინტერვიუს შედეგები;*

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.6 ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 4.7. ფინანსური რესურსი

## 4.7.1. დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

### 1. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების ფინანსური რესურსის ძირითადი წყარო არის მუნიციპალური ბიუჯეტი **რაც დასტურდება** ***მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 26 დეკემბრის წერილით ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ საკრებულოს №30 დადგენილებით სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობის პროგრამისათვის 2025 წლის გადასახადების მოცულობის განსაზღვრაზე - (წერილის ნომერი: 24-2424361138, ადრესატი: ა(ა)იპ „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“, მისამართი: ზუგდიდი, რუსთაველის ქ. N 79),*** წერილს თან ერთვის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრის დირექტორის 2025 წლის 28 იანვრის Nბ73.2425028001 ბრძანება, ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს 2025 წლის ბიუჯეტის (ასეგნება) დამტკიცების შესახებ. ბრძანებას თან ახლავს ხარჯთაღრიცხვა 2025 წლის შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ. ***(ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს 2025 წლის ბიუჯეტის (ასეგნება) დამტკიცების შესახებ და 2025 წლის შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ ხარჯთაღრიცხვით. ( დამტკიცებული - 14470.0 ათ. ლარი. მ/შ ხელფასის ფონდი 10320.0 ათ. ლარი, კრედიტის მთავარი განმკარგავი ხ.თ., თარიღი: 20.01.2025)***

სამოქმედო გეგმით ***(ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-სა და მის დაქვემდებარებაში შემავალი საბავშვო ბაღების სამოქმედო გეგმების დამტკიცების შესახებ ბრძანება: ბ73. 24251989 , თარიღი: 17/07/2025)*** გათვალისწინებული აქტივობების დაფინანსების წყაროები გაწერილია მუხლობრივად 2025 წლის ბიუჯეტის გეგმის შესაბამისად.

მართვის ცენტრის ბიუჯეტის მუხლი 2231-ით გათვალისწინებულია პირველი სტრატეგიული მიზნის „სტრატეგიული მიზანი 1. უსაფრთხო და ინკლუზიური გარემოს უზრუნველყოფა" პირველი ამოცანის „1.1. ემოციური და ფსიქოლოგიური მხარდაჭერა" შესრულება; აღნიშნული მუხლი გულისხმობს: „საკანცელარიო, საწერ-სახაზავი ქაღალდის, საბუღალტრო ბლანკების, ბიულეტენების, საკანცელარიო წიგნების და სხვა ანალოგიური მასალების შეძენა-ს" და გამოყოფილია 30 000 ლარი. მეორე ამოცანის შესრულებისთვის 1.2. მულტიკულტურული და მშვიდობაზე ორიენტირებული სწავლების მხარდაჭერა; გათვალისწინებულია 2231 და 2233 მუხლები - „ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთების შეძენა და ყველა სახის საგამომცემლო-სასრამბო(არაძირითადი საქმიანობის) ხარჯი", ამ მუხლისთვის (2233) გამოყოფილია 20 000 ლარი. მესამე ამოცანისათვის: „1.3. ბავშვის უფლებათა და თანასწორობის პრინციპების დაცვა" - მართვის ცენტრის ბიუჯეტის მუხლი 31122 - აღნიშნული მუხლი ბიუჯეტის გეგმაში არის „სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი"; აღნიშნული მუხლის დაკავშირება ამოცანასთან ვერ მოხერხდა.

მეორე სტრატეგიული მიზნის „სტრატეგიული მიზანი 2. გარემოს დაცვა და მდგრადი განვითარების ხელშეწყობა" ამოცანის „2.1. ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლება:" შესასრულებლად დაწესებულებას უწერია, რომ არ სჭირდებათ ბიუჯეტი;

მესამე სტრატეგიული მიზნის „სტრატეგიული მიზანი 3. პერსონალის პროფესიული განვითარება." ამოცანისთვის „3.1. პროფესიული ლიტერატურის/ელექტრონული რესურსების მიწოდება დატექნოლოგიური უნარების განვითარების ხელშეწყობა." გამოყოფილია მართვის ცენტრის ბიუჯეტის მუხლი 22104 და 2231; 22104 მუხლი ბიუჯეტის გეგმაში ვერ იდენტიფიცირდა, ხოლო 2231 გულისხმობს: „საკანცელარიო, საწერ-სახაზავი ქაღალდის, საბუღალტრო ბლანკების, ბიულეტენების, საკანცელარიო წიგნების და სხვა ანალოგიური მასალების შეძენა-ს" და გამოყოფილია 30 000 ლარი.

მეოთხე სტრატეგიული მიზნის „სტრატეგიული მიზანი 4: თანამშრომლობა და კომუნიკაცია მშობლებთან და საზოგადოებასთან მშვიდობის და თანაცხოვრების კულტურის განვითარება" პირველი ამოცანისთვის „4.1. მშობელთა ცნობიერების ამაღლება" და მესამე ამოცანისთვის „4.3. საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, ადგილობრივ ორგანიზაციებთან და თვითმმართველობასთან პარტნიორობის გაძლიერება თემზე მორგებული ინიციატივების მხარდასაჭერად„ განსაზღვრული ბიუჯეტი უწერიათ, რომ არ სჭირდებათ. რაც შეეხება მეორე ამოცანას „4.2.მშობლებისა და თემის აქტიური ჩართულობა სკოლამდელი დაწესებულებების მულტიკულტურულ აქტივობებში." დაწესებულებას ისევ გათვალისწინებული აქვს მართვის ცენტრის ბიუჯეტის მუხლი 2231- „საკანცელარიო, საწერ-სახაზავი ქაღალდის, საბუღალტრო ბლანკების, ბიულეტენების, საკანცელარიო წიგნების და სხვა ანალოგიური მასალების შეძენა";

- ინტერვიუსას დაწესებულებამ აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილ ბიუჯეტს ემატება სხვა რესურსებიც დონორი ორგანიზაციებისგან, თემის მხარდაჭერით და ა.შ. დაწესებულებამ წარმოადგინა რამდენიმე მემორანდუმი, რომელიც გაფორმებულია დონორ ორგანიზაციებთან. აღნიშნული სურათი ზრდის ფინანსური მდგრადობის ხარისხს.
- ბიუჯეტი განსაზღვრულია ბაღის მიმდინარე საჭიროებების, პერსონალის პროფესიული განვითარების და ბავშვთა აქტივობების ხარისხის გაზრდის გათვალისწინებით.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.............................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

- ამოცანების შესრულების ხარჯები წარმოდგენილია ხარჯების მუხლების მიხედვით, საიდანაც ვერ დგინდება კონკრეტულ სამუშაოზე რა დაფინანსება იქნება საჭირო. სასურველია აღნიშნული საკითხი გარკვევით იყოს წარმოდგენილი
- სასურველია სამოქმედო გეგმის მუხლები გადაიხედოს და მოვიდეს სრულ შესაბამისობაში ბიუჯეტის გეგმის მუხლებთან.
- დაწესებულებამ ყოველი წლის ბოლოს კარგი იქნება გააკეთოს სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, აღნიშნული ანგარიშის და საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტური შეფასების შედეგად დაგეგმოს შემდგომი აქტივობები და სათანადო რეაგირება მოახდინოს შეფასების შედეგებზე.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.............................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................................

## 2. დაწესებულების ბიუჯეტში ფინანსური რესურსების განაწილება უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება ბიუჯეტის ხარჯვის ნაწილში ყოველწლიურად უნდა ითვალისწინებდეს განსაზღვრული რაოდეობის ფინანსურ რესურსს მის მიერ დამტკიცებული კურიკულუმის განხორციელების უზრუნველყოფისათვის. იგულისხმება, შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსის შეძენა/განახლება ბავშვების რაოდენობის გათვალიწინებით (მაგ.: სათამაშოები, განმავითარებელი რესურსი, საგანმანათლებლო მასალები და სხვ) გარემოს შესაბამისი მოწყობის უზრუნველყოფა (მაგ.:ჯგუფის და ეზოს ინვენტარი და სხვ.) სათემო აქტივობები (მაგ.: ექსკურსია/ვიზიტი კონკრეტულმ ობიექტებში და სხვ.)

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია *ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“- ს დირექტორის 2025 წლის 18 ივლისის N ბ73. 24251993 ბრძანებით დამტკიცებული ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ*

*სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს დაქვემდებარებაში არსებულ სკოლამდელ აღზრდის დაწესებულებებში საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი.”*

მექანიზმში გაწერილი პროცესი უზრუნველყოფს რესურსების მიწოდებას შეუფერხებლად, რაც ვლინდება თავად მექანიზმში, სადაც აღწერილია თუ როგორ ხდება საჭიროებების იდენტიფიცირება (ჩანაწერი - „ეფუძნება მრავალფეროვნებისა და მრავალგვარობის კრიტერიუმებს“, „ბავშვის ჰოლისტრი განვითარებისათვის განსაზღვრულ სფეროებსა და თემატურ მიმართულებებს“); როგორ ხდება მათზე რეაგირება („მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების ნუსხის განსაზღვრა ხდება საგანმანათლელობ პერსონალის ჩართულობით და მტკიცდება ბრძანებით“); განსაზღვრულია, თუ რა პერიოდულობით ხდება რესურსების განახლება (საგანმანათლებლო რესურსების საჭიროებების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და დამუშავება ხორციელდება წელიწადში ორჯერ, პერიოდული ინვენტარიზაციის გზით).

დაწესებულებაში საგანმანათლებლო  პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფა საგანმანათლებლო პერსონალისა და ხელმძღვანელის განმარტებით, მოქმედებს მექანიზმის შესაბამისად. ინტერვიუში, აღმზრდელი აღნიშნავს, რომ წლის დასაწყისში სხვა საგანმანათლებლო პერსონალთან ერთად განსაზღვრავს მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების ნუსხას, აღნიშნულის შესახებ კი ინფორმაციას აწვდის ბაგა-ბაღის ხელმძღვანელს, რომელიც თავის მხრივ წარუდგენს ნუსხას დაწესებულების დირექტორს. თუმცა აღნიშნული ნუსხის დამტკიცების შესახებ ბრძანება დაწესებუელბამ ვერ წარმოადგინა. დაწესებულებას განსაზღვრული აქვს კურიკულუმის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსის ჩამონათვალი, თუმცა არ აქვს განსაზღვრული რაოდენობა.  არ არის ჩანაწერი, თუ  დაანგარიშების, როგორი სქემა არსებობს, კერძოდ რა რაოდენობის საგანმანათლებლო რესურსის შეძენაა გათვალისწინებული ერთ ბავშვზე (სათამაშო, საკანცელარიო მასალა). დაწესებულებამ წარმოადგინა მიღება-ჩაბარების აქტი (09.12.2024), რომლითაც დასტურდება, რომ ბაღს გადაეცა საბავშვო წიგნები, ასევე მიღება-ჩაბარების აქტი (07.02.2025) - საკანცელარიო მასალის გადაცემის შესახებ, თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტებით გათვალისწინებული რესურსი არ არის ბავშვთა იმ რაოდენობის შესაბამისი, რომელზეც დაწესებულება ითხოვს სტატუსს. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა ძირითად საშუალებათა და სასაქონლო მატერიალურ ფასეულობათა აღწერის ოქმი  N59,  რომელსაც საფუძვლად აქვს ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენრის დირექტორის 10.12.2024 წლის  ბრძანება  N ბ73.24243456  ა(ა)იპ მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრის“ ინვენტარიზაციის ჩატარების შესახებ. ბრძანებაში ვკითხულობ, რომ ინვენტარიზაცია დაიწყო - 2024 წლის 20 ნოემბერს და დასრულდა - 2024 წლის 30 დეკემბერს. ამასთან ნახსენებია, რომ ეს ბრძანება უნდა ამოქმედდეს 2023 წლის 1 დეკემბრიდან. თარიღები არ არის თანხვედრაში და ბუნდოვანია.

მოწოდებული ინფორმაციიდან რთულად იკითხება რამდენად ზუსტად ახერხებს დაწესებულება დამტკიცებული ბიუჯეტით უზრუნველყოს, დამტკიცებული კურიკულუმით გათვალისწინებული საჭიროებების შესასრულებლად საკმარისი ფინანსური რესურსის უწყვეტი ხელმისაწვდომობა. გაწერილი ბიუჯეტის ხარჯვის ნაწილი სრულად ვერ დასტურდება შესყიდვების დოკუმენტაციით, ვალიდური ინვენტრიზაციის აქტით ან სხვა შესაბამისი მეთოდით.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

### რეკომენდაცია

- მიზანშეწონილია შემუშავდეს ბიუჯეტის ხარჯვის დეტალური გეგმა, რომელიც მოიცავს თითოეული ხარჯის კატეგორიას (სათამაშოები, საკანცელარიო მასალა, საგანმანათლებლო რესურსი, სათემო აქტივობები და სხვ.) და განსაზღვრავს კონკრეტულ თანხებს.
- ბიუჯეტის ხარჯვის პროცესი უნდა იყოს დოკუმენტურად დასაბუთებული შესყიდვების დოკუმენტებით (მიღება-ჩაბარების აქტები, ინვოისები, შესყიდვების ანგარიშგება, ინვენტარიზაცია და სხვ.);
- აუცილებელია, რომ მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების ნუსხა დამტკიცდეს დირექტორის ბრძანებით, როგორც ამას ითვალისწინებს მექანიზმი;
- აუცილებელია ყურადღება მიექცეს ბრძანებებში და აქტებში თარიღების თანხვედრასა და სიზუსტეს;

### რჩევა

- სასურველია არსებობდეს განაწილების სქემა ერთ ბავშვზე გათვლით (მაგ.: რა თანხაა გათვალისწინებული თითო ბავშვის საგანმანათლებლო რესურსზე, საკანცელარიო მასალაზე და სხვ.);

### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ შეუსაბამობასთან მიმართებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 6 თვის ვადით, განსაზღვრული აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის დაგეგმილი აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და საჭირო რესურსი. ექსპერტის შეფასება შეიცვალა მეტწილით.

## 3. დაწესებულებას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების გამართული ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანია, რომ მას გააჩნდეს ფინანსური რესურსების მართვის სისტემა. როგორც უკვე აღინიშნა დაწესებულების დაფინანსების მთავარი წყარო არის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი, შესაბამისად ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გამოყოფილია თანხა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ფუნქციონირებისათვის. წარმოდგენილი

ბიუჯეტი ჩაშლილია შემდეგ პუნქტებად: შრომითი ანაზღაურება, საქონელი და მომსახურება, მივინებები, ოფისის ხარჯი, მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენა და დამონტაჟების/დემონტაჟის ხარჯი, საოფისე ინვენტარის შეძენა და დამონტაჟების ხარჯი,გრანტები, სოციალური უზრუნველყოფა და ა.შ.

დაწესებულება ვერ ადასტურებს, რომ ფინანსური მართვის სისტემა ეფუძნება ხარისხის ციკლს და მოიცავს დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების და გადახედვა/გაუმჯობესების ეტაპებს სრულად. ინტერვიუსას ირკვევა, რომ დაწესებულებას ცალკე შემუშავებული ფინანსური სისტემა არ აქვს, რადგან ბიუჯეტის დაგეგმვას, განკარგვასა და მონიტორინგს წევს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია. აქვე, დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრის დირექტორის 2025 წლის 28 იანვრის №ბ73.2425028001 ბრძანება, ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს 2025 წლის ბიუჯეტის (ასეგნება) დამტკიცების შესახებ. ბრძანებას თან ახლავს ხარჯთაღრიცხვა 2025 წლის შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ. ***(ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს 2025 წლის ბიუჯეტის (ასეგნება) დამტკიცების შესახებ და 2025 წლის შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ ხარჯთაღრიცხვით. ( დამტკიცებული - 14470.0 ათ. ლარი. მ/შ ხელფასის ფონდი 10320.0 ათ. ლარი, კრედიტის მთავარი განმკარგავი ხ.თ., თარიღი: 20.01.2025).*** აღნიშნული დოკუმენტიდან ირკვევა რომ დამტკიცებული ბიუჯეტის, კრედიტის მთავარ განმკარაგვად განისაზღვრება ცენტრის დირექტორი. დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა ბიუჯეტის განკარგვის წესი ან სხვა რაიმე მექანიზმი.

უმნიშვნელოვანესია პროცესების მონიტორინგი და დროული რეაგირება მოსალოდნელ ცვლილებებზე (დეფიციტზე ან პროფიციტზე). დაწესებულებას განსაზღვრული არ აქვს შიდა მონიტორინგის პერიოდულობა. შესაბამისად საბიუჯეტო კალენდარში წინასწარ არ არის გაწერილი მონიტორნგის განხორციელების ვადები, ინტერვიუსას აღნიშნავენ რომ, მიმდინარე შემოსავლებისა და გასავლების კონტროლი ინტენსიურად მიმდინარეობს. ამასთან დაკავშირებით დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრის 2024 წლის სამიქნოზის ანგარიში, სადაც ერთ-ერთ გვერდზე ვხვდებით „ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს“; აღნიშნული ანგარიში მოიცავს ხარჯებს, ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, კერძოდ: შრომის ანაზღაურება, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა სარგო, მივლინება, ოფისის ხარჯები, კვების ხარჯი, ტრანსპორტის სენახვისა და ექსპლუატაციის ხარჯი, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯი, სოციალური უზრუნველყოფა და არაფინასნური აქტივების ზრდა. ასევე წარმოადგინა 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების 6 თვის ანგარიში. დაწესებულების მიერ შედგენილი ანგარიში არის ზოგადი ხასიათის, მასში ძირითადად აღნიშნულია განხორციელებლი შესყიდვები, გამოყოფილი ბიუჯეტი და მისი ხარჯვა.

აღნიშნული ანგარიშები გაგზავნილია მუნიციპალიტეტის მერიისათვის, თუმცა ის ნათლად ვერ ასახავს დაწესებულების ფინანსური რესურსების ხარჯვის დასაბუთებას, მიმდინარე პერიოდში წარმოქმნილ პრობლემებს, გეგმის შეუსრულებლობის მიზეზებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მიღწეულ შედეგებს და ა.შ.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

- მიზანშეწონილია დაწესებულებას ჰქონდეს ფინასნური რესურსის განკარგვის წესი ან ანგარიშგების მექანიზმი, რომელიც ასახავს რისთვის? და როგორ? იხარჯება თანხა;
- მნიშვნელოვანია წინასწარ იყოს შემუშავებული ბიუჯეტში ცვლილების შეტანის წესი და პროცედურები, დადგინდეს ბიუჯეტში ცვლილებების განმახორციელებელი უფლებამოსილი პირების ვინაობა, ცვლილების განხორციელების ვადები და სხვა.
- რეკომენდირებულია არსებობდეს შიდა მონიტორინგის მექანიზმი;

რჩევა

.............................................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ შეუსაბამობასთან მიმართებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 4 თვის ვადით, განსაზღვრული აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის დაგეგმილი აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და საჭირო რესურსი. ექსპერტის შეფასება შეიცვალა მეტწილით.

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს დირექტორის 2025 წლის 17 ივლისის Nბ73.24251989 ბრძანებით დამტკიცებული ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-სა და მის დაქვემდებარებაში შემავალი საბავშვო ბაღების სამოქმედო გეგმები;
2. სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრის 2025 წლის ბიუჯეტის გეგმა;
3. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრის დირექტორის 2025 წლის 28 იანვრის Nბ73.2425028001 ბრძანება, ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს 2025 წლის ბიუჯეტის (ასეგნება) დამტკიცების შესახებ.
4. 2025 წლის შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ ხარჯთაღრიცხვა. ( დამტკიცებული - 14470.0 ათ. ლარი. მ/შ ხელფასის ფონდი 10320.0 ათ. ლარი, კრედიტის მთავარი განმკარგავი ხ.თ., თარიღი: 20.01.2025).
5. ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს 2024 წლის საქმიანობის ანგარიში;

6. ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების 6 თვის ანგარიში;

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.7 ფინანსური რესურსი** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## ნაწილი IV. დანართების სახით წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი

| 1. სავალდებულო დანართის დასახელება |
|---|
| ვიზიტის დღის წესრიგი |
| 4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი |
| 4.4. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი |
| 4.5. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი |

| დანართის N | 2. სხვა დანართის დასახელება |
|---|---|
| 1 | |
| 2 | |
| 3 | |

**თარიღი** 18/12/2025

| ხელმომწერი | სახელი გვარი | ხელმოწერა |
| --- | --- | --- |
| **ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე** | | |
| *ხარისხის ექსპერტი* | ლანა ჯიქია | --------------------------------- |
| **ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები** | | |
| *კურიკულუმის ექსპერტი:* | ნინო მამრიკიშვილი | --------------------------------- |
| *კვების დარგში ექსპერტი:* | სალომე ბოჭორიშვილი | --------------------------------- |
| *სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი:* | მარინე გულუა | --------------------------------- |

| 4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი | დანართი №1 |
|---|---|

| | |
|---|---|
| **საფირმო სახელწოდება:** ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებუელბათა მართვის ცენტრი<br>**პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება (არსებობის შემთხვევაში):** ზუგდიდის მუნიციპალიტეტის, ქ. ზუგდიდის N1 საბავშვო ბაღი | **ბრძანების N:** MES 1 25 0000998139 |
| **პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი:** ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, ქალაქი ზუგდიდი, კ.გამსახურდიას ქუჩა N225<br>**(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)** | **ვიზიტის თარიღი:** ***2025 წლის*** 23-24 სექტემბერი |

**კრიტერიუმი 4.3.1. დაწესებულების მატერიალური რესურსი გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ ბავშვთა რაოდენობას**

| N | ინდიკატორი | შეესაბამება | მეტწილად შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება | არ შეესაბამება | დასტურდება (მტკიცებულებები):<br>კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დაწესებულება უზრუნველყოფს სააღმზრდელო-საგანმანთლებლო საქმიანობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურას მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი ბავშვთა რაოდენობის გათვალისწინებით | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | 1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;<br>2. ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-ს დირექტორის 2025 წლის 17 ივლისის ბრძანება N ბ73.24251984, ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი“-სა და მის დაქვემდებარებაში შემავალი საბავშვო ბაღების ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ;<br>3. შენობა-ნაგებობის სქემა;<br>4. ვიზუალური დათვალიერება;<br>6. ინტერვიუს შედეგები |
| 2 | დაწესებულება აკმაყოფილებს ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების შენობის ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების მიმართ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს | | | | | |
| 3 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს | | | | | |

## შესაბამისობის კითხვარი

| N | შეფასების ინდიკატორი | შეესაბამება | მეტწილად შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება | არ შეესაბამება | ინდიკატორის შესაბამისობის აღწერა | რეკომენდაცია | რჩევა | არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **1** | **დაწესებულება უზრუნველყოფს სააღმზრდელო-საგანმანთლებლო საქმიანობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურას მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი ბავშვთა რაოდენობის გათვალისწინებით;** | | | | | | | | |
| | დაწესებულებას აქვს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისად, დაწესებულებას ავტორიზაციის ვადით კანონიერ მფლობელობაში აქვს შენობა-ნაგებობა და ძირითადი აღჭურვილობა, როგორიცაა: ავეჯი, კომპიუტერი ტექნიკა და სხვ. შენობა-ნაგებობის დაწესებულების მფლობელობაშია და ეს დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერით(განახლებული: 26.06.2025 წელს). დაწესებულებამ წარმოადგინა შენობა-ნაგებობის სქემა. შენობა-ნაგებობა სხვა დანიშნულებით არ გამოიყენება. დაწესებულებას არ აქვს წარმოდგენილი დოკუმენტი შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენის შესახებ, თუმცა წარმოდგენილია შესაბამისობის გეგმა და შეუსაბამოსბის აღმოფხვრის ვადად მითითებულია 24 თვე.<br>დაწესებულების არ აქვს მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ | 1.უნდა შემუშავდეს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც მოიცავს სახანძრო, სეისმურ, წყალდიდობისა და სხვა კრიზისულ შემთხვევებზე რეაგირების პროტოკოლებს.<br>2.გეგმა უნდა იყოს თანხვედრაში სახელმწიფო უსაფრთხოების რეგულაციებთან და წარიმართოს თანამშრომელთა შესაბამისი ტრენინგები.<br>3.მიზანშეწონილია გეგმა დამტკიცდეს და განთავსდეს საჯაროდ (ბაღის შენობაში და ვებგვერდზე), რათა მშობლებმაც და პერსონალმაც იცოდნენ ქცევის წესები. | | "დაწესებულების აქვს მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ"; "დაწესებულებას აქვს შენობა-ნაგებობის სქემა"- დაწესებულებამ შეუსაბამობასთან მიმართებით წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 12 თვის ვადით, განსაზღვრული აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის დაგეგმილი აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და საჭირო რესურსი. აღნიშნულ ინდიკატორებისთვის ექსპერტის შეფასება შეიცვალა მეტწილით. |
| | დაწესებულებას აქვს შენობა-ნაგებობის სქემა | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულებას აქვს დოკუმენტი შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენის შესახებ (გაცემული შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს ან სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ) | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების აქვს მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | | | | |
| **2** | **დაწესებულება აკმაყოფილებს ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების შენობის ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების მიმართ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს** | | | | | | | | |
| **2.1.** | დაწესებულებას აქვს შენობის ექსპლუატაციაში მიღების შესახებ უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული აქტი (მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მშენებლობის ნებართვა გაიცემულია 2023 წლის 21 თებერვლის შემდეგ) | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | წარმოდგენილია შესაბამისობის გეგმა. | რეკომენდირებულია დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში განახორციელოს შესაბამისი აქტოვობები. | | |
| **2.2.** | **მოთხოვნები დაწესებულების შენობა-ნაგებობის მიმართ** | | | | | | | | |
| | დაწესებულება განთავსებულია პირველ, პირველ და მეორე, პირველ, მეორე და მესამე სართულზე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულება განთავსბეულია პირველ და მეორე სართულზე. შენობა არის ცალკე მდგომი. ჯგუფის ოთახები განთავსბეულია პირველ და მეორე სართულზე | | | |
| | ჯგუფური ოთახები განთავსებულია პირველ ან/და მეორე სართულზე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | **მესამე სართულზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განთავსებულია:** | | | | | | | | |
| | ადმინისტრაციული სამყოფები | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ღია სარეკრეაციო სივრცეები | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
